გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 18
(11 884)

11 – 14 მარტი, 2005 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერშია:


- ჭიდაობა სიმართლისათვის?..
- ალორძინდი, „დინამო"!
- მიმართვა ფეხბურთის ძომაბებს
- ქართული ფეხბურთის პათოლოგიის დიაგნოზი
- რეჰაგელის „ბერძნული საოცრება"
- რა ხდება ევროპის სტადიონებზე...
- ფიზიკელა ჩემპიონობაში დარწმუნებულია
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი


## ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში შემსვლელთა საყურადღებოდ!

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში შემსვლელმა აბიტურიენტებმა 2005 წლის 1 აპრილამდე აუცილებლად უნდა გაიარონ რეგისტრაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების ნებისმიერ რაიონულ ცენტრში, რათა მიეცეთ მისაღებ გამოცდებში მონაწილეობის უფლება. ის აბიტურიენტები, რომლებიც 1 აპრილამდე იმყოფებოდნენ შეკრებაზე ან შეჯიბრებაზე, ან სხვა საპატიო მიზეზით ვერ მოასწრეს რეგისტრაცია, შეუძლიათ მიმართონ მორიგე სარეგისტრაციო პუნქტს თბილისში, შემდეგ მისამართზე: ტოვსტონოგოვის ქ №2, მიმდინარე წლის 15 ივნისამდე.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

## ცნობები სპორტული ორგანიზაციებიდან

◆ **ძიუდოს ეროვნული ფედერაციის** ცნობით, პრაღაში, ძიუდოში მსოფლიო თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე სასპარეზოდ გაემგზავრა ჩვენი ეროვნული ნაკრები შემდეგი შემადგენლობით: ვახტანგ ხოსიტაშვილი (60 კგ), ზაზა კედელაშვილი (66), დავით მარგოშვილი და დავით კუპრაშვილი (ორივე — 73), გრიგოლ მამრიკიშვილი (81), ირაკლი ცირეკიძე და მინდია ბოდაველი (ორივე — 90), ივერი ჯიქურაული და გიორგი გუგავა (100), ლაშა გუჯეჯიანი და ალექსი დავითაშვილი (მძიმე). შეჯიბრება 12-13 მარტს გაიმართება.

◆ **ქართული ჭიდაობის ფედერაცია** ყველაფერს აკეთებს ქამრიანი ჭიდაობების საერთაშორისო ფედერაციაში გასაწევრიანებლად, რაც საშუალებას მისცემს მსოფლიომ გაიცნოს ჩვენი ეროვნული საუნჯე — ქართული ჭიდაობა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება საერთაშორისო სემინარზე, რომელიც 17-20 მარტს გაიმართება ვილნიუსში. სემინარზე ჩვენი ფედერაცია საგანგებოდ მიიწვიეს.

## ისმინეთ!



„ცხენოსნობა უდიდესი დასვენებაა ჩემთვის. როცა თავწვრილა, მკერდგანიერი, მუხლმაგარი და ყურდაცქვეტილი ცხენი შემომხედავს, შრომისგან წელში გადრეკილს, წინაპრების ჩემის უშრეტი ენერგია კვლავ იღვიძებს ჩემში, ასე მგონია, ხელახლა ვშობილვარ-მეთქი და ჯერაც არ მეგემნოს სიარულის, ხტომის და ჭენების სიხარული ამ მშვენიერ მიწაზე".

კ. გამსახურდია

ნუ დაივიწყებთ ცხენს, შეიყვარეთ ცხენოსნობა!

## ედიშერ მაჩაიძე ბურიატიაშიც აღიარეს



ჭიდაობაში საერთაშორისო კატეგორიის ქართველ მსაჯს **ედიშერ მაჩაიძეს**, ფილა ყოველთვის ყველაზე მაღალი რანგისა და ამავე დროს განსაკუთრებით საპატიო ასპარეზობებზე აგზავნის თავის კომისრად. ამჯერად ე. მაჩაიძე ულან-უდეში, ბურიატიის პრეზიდენტის თასზე გამართულ პრესტიჟულ ასპარეზობაში წარმოადგენდა ფილას. მასპინძლები იმდენად კმაყოფილნი დარჩნენ ე. მაჩაიძის პროფესიონალიზმით, ბურიატიის პრეზიდენტის ბრძანებულებით მას მიენიჭა რუსეთის ამ რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება. ერთდროულად ეს წოდება მიეკუთვნა ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს **ბურსა საიტიევს** და ოლიმპიურ ჩემპიონს **სერგეი ბელოგლაზოვს**.

„ულან-უდეში ქართველთა სოლიდური დიასპორაა. ისინი ღირსეულად წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანას. რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობა კარგად იცნობს მათ საქმიანობას და ძალზე კმაყოფილებიც არიან, დიდად აფასებენ. იქაურ ქართველებს მიწა შეუძენიათ და მართლმადიდებლური ეკლესიაც აუგიათ. მთხოვეს ამის შესახებ ვაცნობო საქართველოს საპატრიარქოს" — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს ე. მაჩაიძემ.

„ლელო"-„გუმათი"

**ცნობისათვის: როგორც ინტერნეტში მოვიძიეთ, ბურიატიის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, ჩვენგან განსხვავებით, სარგებლობს საქალაქო ტრანსპორტში უფასო მგზავრობით, კომუნალური შეღავათებით და ხელფასზე დანამატით, სპორტულ ღონისძიებებზე უფასოდ დასწრებით და ა.შ.**

## ჭიდაობის სამყაროში სიმართლის ძიება ისევ საჭიდაო რჩება



ბოლო დროს საქართველოს ჭიდაობის სამყაროში თავჩენილი განხეთქილება ნამდვილად არ ამშვენებს ერთიანობითა და თანადგომით ყველასაგან გამორჩეულ ამ დიდ ოჯახს. თანამოაზრეები და ძმადშეფიცულნი უეცრად აღმოჩნდნენ ბარიკადების საპირისპირო მხარეს — ამბიციებმა სძლია გონიერებას. ამბიციები კი, მოგეხსენებათ, მუდამ ჯანსაღ აზრს იწვევს სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში. რა სჭირდა საამისო საქართველოს მოჭიდავეთა ქებულ თემს? არც არაფერი, მაგრამ ვიღაცამ რაღაც ვერ მოზომა, იმ ავადსახსენებელ ამბიციებს მიუშვა სადავეები. მერე, მაგალითად, ფედერაციის ახალარჩეულ პრეზიდენტს საქმე საბოდიშოდაც გაუხადა, შეცდომებიც აღიარა, ისევ თავად გადადგა შესარიგებლად ნაბიჯი იმათკენ, ვინც განაწყენებული დარჩა, მაგრამ აქედან დიდი არაფერი გამოვიდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. საგანგებო შეკრებაც დაინიშნა, ასე ვთქვათ, შესარიგებლად, თუმცა, სწორედ ზოგიერთი ის ავტორიტეტული პიროვნება აღარ გამოცხადდა ამ დაძახილზე, ვის სიტყვასაც ხშირად კანონის ძალა აქვს. ბევრიც მოვიდა, მაგრამ საქმე დიდაქტიკის იქით არ წასულა. შიგადაშიგ კი კვლავ იჩინა თავი პრეტენზიებმა. მაგალითად, დაისვა საკითხი, ჰქონდა თუ არა იურიდიული უფლება ფედერაციის პრეზიდიუმის ერთ ჯგუფს უფლებამოსილება შეეწყვიტა ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტისთვის. მაგრამ საკითხი დაისვა მხოლოდ. ეს იყო და ეს.

ვინ უნდა დაამყაროს წესრიგი მოჭიდავეთა ოჯახში? ერთნი ამბობენ, რომ საქმეში კულტურისა და სპორტის სამინისტრო უნდა ჩაერიოს. როგორც ამბობენ, თურმე ასეთი ჩარევა ჰქონია კიდეც გადაწყვეტილი სამინისტროს. გავბედავთ და ვიკითხავთ, კი, მაგრამ რა უფლებით? საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთობა კანონით რეგულირდება და თუ მართლა ჩაერევა სამინისტრო ფედერაციის საშინაო საქმეში, ვფიქრობთ, ეს იქნება უფლებამოსილების გადამეტება და ახალი სკანდალის წინაპირობა. არც ისაა კანონიერი, თითქოს ფედერაციის პრეზიდენტის გადაყენების უფლება ჰქონდა სპორტის დეპარტამენტს და ეს უფლება მას უნდა გამოეყენებინა.

მიმომხილველი

## მზია ჯუღელმა მეორე ქველმოქმედი „აღმოაჩინა" ლონდონში

„ლონდონში ერთ-ერთ წვეულებაზე შევხვდი ჩემს ნაცნობ ქალბატონს, პროფესორ **თამარ დრაგაძეს**, რომელიც ლონდონში დაიბადა და აღიზარდა ქართულ ოჯახში. ქალბატონი თამარი ლონდონში წმ. გიორგის საქველმოქმედო ფონდის საბჭოს წევრია" — უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს, პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქალმა საქართველოდან, **მზია ჯუღელმა**.

ლონდონელ ქართველთან საუბარში ქალბატონ მზიას უხსენებია, რომ პრინცესა **ელენე გაგარინა** ორჯერ დახმარებია თბილი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და სპორტული ფორმით საქართველოში ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლს, რომელიც კოჯორშია განთავსებული.

თ. დრაგაძემ ე. გაგარინას მსგავსად, ლონდონიდან ახლახან ქალბატონ მზია ჯუღელს 200 ფუნტი გამოუგზავნა კოჯრის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის ქურთუკების შესაძენად. ამ დღეებში საჩუქარი უკვე მიიღეს ბავშვებმა.



კალათბურთი ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## „ავიამშენმა" ფრთები შეისწორა

არანაირ ინტერესს არ იწვევს მატჩი, თუნდაც იგი საკალათბურთო იყოს, როცა წინდაწინაა ცნობილი თუ ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება. ასეთ თამაშს არც მაყურებელი ეტანება. რაც ითქვა, „მაქაბი" — „ავიამშენის" მატჩთან დაკავშირებით ითქვა. „ავიამშენი" ერთ-ერთი ლიდერია, „მაქაბი" — ერთ-ერთი აუტსაიდერი. ავიამშენებლებმა ყველა მეოთხედი თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს, მეტოქე დამარცხდა 73:117.

ახლა ყველა გუნდს თანაბარი რაოდენობის მატჩები აქვთ ჩატარებული. ცხრილში კი ასეთი მდგომარეობაა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | სტუ | 22 | 19 | 3 | 400 | 41 |
| 2. | დინამო | 22 | 18 | 4 | 486 | 40 |
| 3. | ავიამშენი | 22 | 18 | 4 | 458 | 40 |
| 4. | თსუ | 22 | 12 | 10 | 187 | 33 |
| 5. | თუჯი | 22 | 11 | 11 | 109 | 33 |
| 6. | მაქაბი | 22 | 5 | 17 | -462 | 27 |
| 7. | ბურჯი | 22 | 3 | 19 | -391 | 25 |
| 8. | სსუ | 22 | 2 | 20 | -675 | 24 |

## როგორც იქნა...



რამდენი ხანია საქართველოს მოცურავეთა სოლიდურ წარმატებაზე, ჭაბუკ წყალბურთელთაგან განსხვავებით, არაფერი გვსმენია. და აი, შეიძლება ვთქვათ, ყინულის დნობა დაიწყო. თბილისელმა **ირაკლი რევიშვილმა** უკრაინის პირველობაზე 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პირველობა მოიპოვა, 400 მეტრზე ცურვაში კი მეორე იყო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ირაკლი რევიშვილი 1989 წელსაა დაბადებული, შეჯიბრებაში კი გაცილებით უფროსები მონაწილეობდნენ, ჩვენი მოცურავის შედეგი დამაიმედებელია.

ინფორმაცია მოგვაწოდა სპორტის წყალთა სახეობების ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ირაკლი ბართაიამ.**

დავძენთ, რომ მას შემდეგ, რაც სპორტის წყალთა სახეობებს სათავეში ჩაუდგა **გიორგი უდესიანი,** ცურვაში მოპოვებული ეს პირველი თვალსაჩინო წარმატებაა.

## გაზეთის დაბეჭდვამდე:

### ანრი „არსენალის" ხელმძღვანელობას ადანაშაულებს



ლონდონის „არსენალის" თავდამსხმელმა **ტიერი ანრიმ** ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებლობაში გუნდის ხელმძღვანელობა დაადანაშაულა. ანრის თქმით, გასულ წელს „არსენალის" ხელმძღვანელობამ შეცდომა დაუშვა მაშინ, როცა უარი თქვა ახალი ფეხბურთელების შეძენაზე და მთელი ყურადღება გადაიტანა 350 მილიონ ფუნტად შეფასებული ახალი სტადიონის მშენებლობაზე.

„შარშანდელ სეზონში ბრწყინვალე შედეგი ვაჩვენეთ პრემიერლიგაში. არ წაგვიგია ერთი მატჩიც კი. ზაფხულში ხელმძღვანელობას ახალი ფეხბურთელი არ უყიდია. თუ გადავხედავთ ფეხბურთელების შესაძენად გათვალისწინებულ ხარჯებს, დავინახავთ, რომ ამ მხრივ ჩვენ ჩამოვრჩებით ისეთ გუნდებს, როგორებიცაა „ტოტენჰემი" და „ბირმინგემი", — განაცხადა ანრიმ, — რატომ დავმარცხდით ჩემპიონთა ლიგაში? ამას ჩვენ ფეხბურთელებს ნუ გვეკითხებით, უმჯობესია „არსენალის" ხელმძღვანელობას მიმართოთ".

### გერმანიაში კიდევ ერთი საფეხბურთო არბიტრი დააპატიმრეს

**ბერლინში, საკუთარ ბინაში სამართალდამცავებმა დააპატიმრეს კიდევ ერთი არბიტრი — დომინიკ მარქსი. მას ბრალად ედება თაღლითობა 2004 წელს ჩატარებულ სამ მატჩში. დაკავების საფუძველი იყო ამას წინათ დაპატიმრებული რობერტ ხოიზერის ჩვენება.**

### ალბანელები ფიფას გადაწყვეტილებას აპროტესტებენ

**ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფაში აპელაცია შეიტანა იმ თაობაზე, რომ ეროვნულ ნაკრებს ორი შესარჩევი მატჩის ჩატარება მოუწევს უმაყურებლოდ.**

**ჩვენ ვთვლით, რომ ფიფას სანქცია ზედმეტად მკაცრია, რადგან ალბანეთში არც ერთ გუნდს საფრთხე არ ემუქრებოდა — ნათქვამია ალბანეთის ფედერაციის განცხადებაში.**

### მოურინიო ხუთი ათასი ფუნტით დააჯარიმეს





ლონდონის „ჩელსის" მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო**, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებით, 5000 ფუნტი სტერლინგით დაჯარიმდა. ამის მიზეზი არის მოურინიოს მიერ ერთ-ერთი ტელეარხისათვის მიცემული ინტერვიუ ამა წლის 12 იანვარს. „მანჩესტერ იუნაიტედთან" სათასო მატჩის შემდეგ მოურინიომ აუგად მოიხსენია შეხვედრის მთავარი არბიტრი.

### შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა: გაგვიგონია, რომ კულა გლდანელის ნამდვილი სახელი და გვარია ვანო ყირიმელი. გლდანელად რომ იწოდება, ამაში უცნაური არაფერია, გლდანელი იყო და იმიტომ. მაგრამ საიდან და როგორ გაჩნდა სახელი „კულა", ასეთი სახელი, საერთოდ, არაა ცნობილი საქართველოში.**

**გია ხუციშვილი,**
**გიო აბაზაშვილი,**
**სოფ. ვარიანი, გორის რაიონი.**

**პასუხი:** თქვენ მართალი ხართ ყველაფერში. ჩვენც დავინტერესდით თუ საიდან წარმოსდგება სახელი „კულა" და როგორ დაერქვა იგი ვანო ყირიმელს, ცნობილ ფალავანს — გლდანელს.

1926 წელს კულა გლდანელისთვის თბილისში იუბილე მოუწყვიათ და ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით პატარა ბროშურაც დაუსტამბავს იუბილის მომწყობ კომისიას. ხსენებულ ბროშურაში ერთგან ვკითხულობთ: „ერთ ზაფხულის მზიან დღეში, როცა დაახლოებით სამი წლისა იქნებოდა, უფროს დას გამოეყვანა ბავშვი და კალოზე ათამაშებდა. ამ დროს კალოს პირზე ჩამოიარა ერთმა მღვდელმა და ვანოს დანახვაზე უცებ წამოიძახა: სწორედ ღვინის სასმელ კულას ჰგავს ეს ბავშვიო. იმ დღიდან პატარა ვანო შეიცვალა კულად. შინაც და გარეთაც ყველანი ეძახდნენ კულას".

### დუბინა და ილარიანი ევროპაზე



მძლეოსნობაში საქართველოს ნაკრების წევრებმა იულია დუბინამ (სამხტომი) და დავით ილარიანმა ამ დღეებში მადრიდში იასპარეზეს ევროპის ზამთრის (ჭერქვეშ) ჩემპიონატში. 60 მეტრზე თარჯრბენში წინასწარ სტარტზე ჩვენებური მეოთხე იყო — 7,77 წ, რაც საუკეთესო აღმოჩნდა სხვა მეოთხეადგილოსანთა შორის და ილარიანი ნახევარფინალში პირდაპირ დაუშვეს. აქ მან შედეგი გააუარესა — 7,81 და გარბენში ბოლო იყო, თუმცა საბოლოოდ მეთოთხმეტე ადგილი ხვდა წილად.

იულია დუბინამ სამხტომში მხოლოდ 13,22 მ. დაძლია და ბოლო მე-18 ადგილზე გავიდა.

# სეზონი ორი ახალი რეკორდით გაიხსნა

თბილისის ასკ-ს ტირში დამთავრდა კალენდრით გათვალისწინებული წლევანდელი პირველი შეჯიბრება მშვილდოსნობაში, თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და ქუთაისის სპორტსმენთა მონაწილეობით.

სროლის ხაზზე გამოვიდა 37 მშვილდოსანი. პროგრამაში შედიოდა ერთადერთი ვარჯიში — მ-3 (სროლა 18 მეტრზე, ორჯერ). სასიხარულოა, რომ ორი ძველი რეკორდი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტმა **გიორგი მეჟევიძემ** ჯერ იერიში მიიტანა მეორე წრის დისტანციაზე — დააგროვა 287 ქულა და საქართველოს ახალ რეკორდს დაუდო სათავე — 300 შესაძლებლიდან 287 ქულა. ეს უდავოდ კარგი შედეგია. იღბლიანი გამოდგა ვარჯიშის ჯამიც — 571 (284+287), რაც ასევე საქართველოს ახალი რეკორდია. პირველებმა მეგობრებმა მიულოცეს ორი ახალი უმაღლესი მიღწევა კოლეგას. ჩვენც ვულოცავთ!

რუბენ კაცობაშვილი

# მძლეოსნობა. საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი

**მხოლოდ ტექნიკური შედეგები**

შეჯიბრება გაიმართა თბილისში, რომელშიაც მასპინძლების გარდა მონაწილეობდნენ ქუთაისის, ბათუმის, გორის, ჭიათურის, ზუგდიდის, ბორჯომის, ახალციხის, ვანის, გარდაბნის, ოზურგეთის, ახმეტის, მარტვილის, მცხეთის, აბაშის, ქარელის, ლაგოდეხის, ყვარლის, საგარეჯოს, ხაშურის წარმომადგენლები.

**გუნდური პირველობა. I ჯგუფი:** 1. თბილისი — 469 ქ 2. ახალცხე — 289, 3. ქუთაისი — 260; **II ჯგუფი:** 1. ვანი — 121 ქ 2. აჭარა — 92, 3. მარტვილი — 57.

**პირადი პირველობა. გამარჯვებულები. ქალები, 60 მ. თარჯი** — პოლინა მაისურაძე (ბორჯ) — 11,06; **60 მ.** — მარიამ ინაშვილი (თბ) — 7,71; **200 მ** — ინაშვილი — 26,2; **400 მ** — სოფია მანუკიანი (თბ) — 1.00, 03; **800 მ** — ქეთინო აბრამიძე (ვანი) — 2.26,6; **1500 მ** — ნინო თათრულაიძე (ახმეტა) — 4.59,7; **300 მ** — თათრულაიძე — 10.46,04; **4X200 ამანათრბენი** (ინაშვილი, მანუკიანი, დუბინა, კუპატაძე — თბ) — 1.52,5; **სიმაღლე** — მაია გოგოლაძე (თბ) — 1,30; **სამხტომი** — ია დარახველიძე (თბ) — 11,72; **ბირთვი** - მარიამ ქევხიშვილი (გარდ) — 15,68; **სიგრძე** — იულია დუბინა (თბ) — 5,90. **ვაჟები. 60 მ თარჯი** — სერგეი ტურიატკო (ქუთ) — 8,2; **60 მ. თარჯი** — დავით ცუცქირიძე (ბორჯ) — 22,5, **400 მ** — თენგიზ ლევინჯილია (ზუგ) — 51,4; **800 მ** — თენგიზ ლევინჯილია (ზუგ) — 1.59,1; **1500 მ** — გიორგი შეკრელიძე (თბ) — 4.09,4; **3000 მ** — ზიგმუნდ ზილბერშტეინი (ახალც) — 8.05,08; **5000 მ** — ზილბერშტეინი — 15,42,0; **4X200 ამანათრბენი** (ილარიანი, კირვალიძე, ცუცქირიძე, შეკრელიძე — თბ) — 1.37,3; **სამხტომი** — ტურიატკო — 14,70; **სიმაღლე** — დათო პაპუაშვილი (ქარელი) — 1,75; **ბირთვი** — მამუკა ტუღუში (ოზურგ) — 16,63; **სიგრძე** — დავით ილარიანი (გარდ) — 7,12.

მარიამ მარიამიძე



იულია დუბინა და მამუკა ტუღუში

# ცრემლმიდევნებული დაკარგული ჩემპიონობა

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც ამავდროულად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ეტაპიც იყო.** საქმე ის არის, რომ დებულების თანახმად, პირველ ადგილზე გასულ მოჭადრაკეს მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლება ეძლეოდა, ხოლო მეორე ადგილოსანს — ევროპის ჩემპიონატის საგზური.

გოგონათა შორის ბოლო ტურის წინ 12 წლის **ნაზი პაიკიძე** ლიდერობდა 6,5 ქულით. მას ჩემპიონობისთვის ნახევარი ქულაც ჰყოფნიდა, მაგრამ დასანანი მარცხი იწვნია ბოლო, მეცხრე ტურში მირანდა მიქაძესთან, რის გამოც თავი ვეღარ შეიკავა და... ატირდა. პაიკიძე საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავიდა. მასავით 6,5-6,5 ქულა დააგროვეს **ანა ბუცხრიკიძემ** და **მერი ჟორჟოლიანმა.** კოეფიციენტი ყველაზე უკეთესი ბუცხრიკიძეს აღმოაჩნდა და ის მესამე ადგილზე გავიდა. საქართველოს ჩემპიონი 7 ქულით **მირანდა მიქაძე** გახდა. მას თანაბარქულიან **თამარ გახოკიძესთან** შედარებით უკეთესი კოეფიციენტი ჰქონდა. გახოკიძეს მეორე ადგილი მიეკუთვნა.

ვაჟთა შორის ჩემპიონიც კოეფიციენტმა გამოავლინა. პირველი-მეორე ადგილები 7,5-7,5 ქულით შესაბამისად გაიყვეს **შოთა აზალაძემ** და **დავით ჯოჯუამ.** 7 ქულით მესამე ადგილზეა **თორნიკე სანიკიძე.**

# ქალთა დღისადმი მიძღვნილი

თბილისის ჭადრაკის ფედერაციისა (პრეზიდენტი მარინა მილორავა, ვიცე-პრეზიდენტი დავით კალმახელიძე) და თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (რექტორი ანზორ შარაშენიძე) ინიციატივით ჩატარდა ქალთა დღის — 8 მარტისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც ასპარეზობდნენ ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი, მსოფლიო ჩემპიონი 16 წლამდელებში ბელა ხოტენაშვილი, მაკა ფურცელაძე, სოფიკო გვეტაძე და სხვები. შეჯიბრება ქალბატონმა ნანა ალექსანდრიამაც დაამშვენა.

დებულების თანახმად, ტურნირი შვეიცარიული სისტემით 7 ტურად ჩატარდა. თითოეულ მოჭადრაკეს მოსაფიქრებლად 5 წუთი ეძლეოდა.

გამარჯვებულის ვინაობა ბოლო ტურში, ნანა ძაგნიძესა და ბელა ხოტენაშვილს შორის გამართულ შეხვედრაში გადაწყდა. ნანა ძაგნიძემ იმარჯვა და 5,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. 5-5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები კოეფიციენტების მიხედვით შესაბამისად გაიყვეს სოფიკო ხუხაშვილმა, თამარ წერეთელმა და ბელა ხოტენაშვილმა. 4,5 ქულით მეხუთე ადგილი დაიკავა მაია ლომინეიშვილმა.

ტურნირის ორგანიზატორებმა სწორედ საუკეთესო ხუთეულები დააჯილდოვეს პრიზებითა და ფულადი პრემიებით. გარდა ამისა, ტურნირის ყველაზე უფროსი ასაკის მოჭადრაკისათვის დაწესებული პრიზი ნანა ალექსანდრიას გადაეცა, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა მონაწილისათვის — მაკა ფურცელაძეს.

დახურვის ცერემონიალზე თბილისის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა მარინა მილორავამ, ჭადრაკში ბოლო დროს გაწეული ღვაწლისათვის საპატიო სიგელი გადასცა თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს ანზორ შარაშენიძეს. ბატონმა ანზორმა განაცხადა, რომ აღნიშნული ტურნირი ტრადიციული გახდება და მას მუდამ უნივერსიტეტი უმასპინძლებს.



მარცხნიდან — თამარ წერეთელი, ნანა ძაგნიძე და სოფიკო ხუხაშვილი. ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა.

დინამოსპირეთი №2 მარტი, 2005 წ.

ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოსა“ და გაზეთ „ლელოს“ ერთობლივი პროექტი

# აღორძინდი, «დინამო»!

**ამიერიდან „დინამოს“ მდიდარი ტრადიციების განმტკიცება-გაღრმავებისთვის ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოსთან“ შექმნილი „აღორძინების ფონდი“ იზრუნებს**



ეს ფრიად სასიამოვნო განცხადება ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ პრეზიდენტმა, ცნობილმა ბიზნესმენმა, ქველმოქმედმა და შესანიშნავმა ორგანიზატორმა **გოჩა ძასოხოვმა** გააკეთა ვეტერანი დინამოელებისა და მასმედიის წარმომადგენლების თანდასწრებით.

„დინამოსპირეთის“ პირველ გამოშვებაში ვწერდით, რომ გამოჩენილი ვეტერანი და მოქმედი დინამოელი სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტის მუშაკები ყოველთვიურად 100-100 ლარს მიიღებენ კლუბიდან. ხელფასის გაცემამ ამჯერად რამდენიმე დღით საგანგებოდ გადაიწია 8 მარტთან დაკავშირებით, რათა ფონდის პრეზენტაციას მეტი ემოციური დატვირთვა შეეძინა. ასეც მოხდა. შეკრებილებმა სიხარულით აღიქვეს გოჩა ძასოხოვის განცხადება, რასაც წინ უსწრებდა, ბუნებრივია, სარვამარტო მილოცვა ქალბატონებისადმი. „ჩვენმა ოჯახმა, რომელსაც ჰქვია ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“, გადაწყვიტა დააფუძნოს „დინამოს“ აღორძინების ფონდი. ყველაფერი, რის შესახებ ჩვენ გამოვაცხადეთ და სამოქმედო პროგრამად დავისახეთ, შესრულდება და მის რეალიზებაში წონად წვლილს სწორედ ახალდაარსებული ფონდი შეიტანს. მოკლედ, შეიქმნა ჩვენი საქმიანობის ფინანსური მხარდამჭერის მნიშვნელოვანი რგოლი“ — თქვა გ. ძასოხოვმა. მანვე ვრცლად ილაპარაკა კონკრეტულ ამოცანებზე. სასიამოვნო და საყურადღებო მის გამოსვლაში ბევრი რამ იყო, მაგრამ განსაკუთრებით გასახარი იმის შეტყობა იყო, რომ არა მხოლოდ ასე თუ ისე დღემდე შემორჩენილი „დინამოს“ სპორტული ბაზები მოწესრიგდება და ჩადგება მწყობრში, არამედ, დაიბრუნებენ გასხვისებულ ობიექტებსაც, თუნდაც, მათი გამოსყიდვის გზით. ყველაფერი ეს გაკეთდება იმისათვის, რომ „დინამომ“ სრულად შეასრულოს დაკისრებული ფუნქციები, ფონდი ამ ამოცანის გადაჭრაშიც დაეხმარება კლუბს. შემდეგ გ. ძასოხოვმა გამოაცხადა, რომ ფონდის კარი ყველასთვის ღიაა, ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს შეუძლია გახდეს მისი დამფუძნებელი. პირველი ხელმოწერის პატივი კი წილად ხვდა ყველაზე სტაჟიან დინამოელს, თანაც ქალბატონს (8 მარტს მოუხდა), ოლიმპიურ ჩემპიონს **მზია ჯუღელს,** რომელმაც 1939 წელს იასპარეზა პირველად „დინამოს“ სახელით.

ფონდის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ცნობილმა ბიზნესმენმა და ასევე კარგად ცნობილმა ქველმოქმედმა **გოგი თოფაძემ** თქვა: „ქართული სპორტი წარმოუდგენელია „დინამოს“ გარეშე. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ტრადიციები მოიშალა. დღეს აქ ვინც მობრძანდნენ, ქართული სპორტის სახეს წარმოადგენენ, მათ ტრადიციებს დაცვა-გაგრძელება უნდა. მჯერა, რომ ფონდის შემწეობით ვეტერანების სოციალური პირობებიც გაუმჯობესდება და სპორტის ბევრი სახეობაც კვლავ აღორძინდება. ძალზე მტკივნეულია სპორტსმენთა და სპეციალისტთა მიგრაციის საკითხი. მიხარია, რომ ფონდი ამ პრობლემის მოგვარებაზეც იზრუნებს. მჯერა, ბევრი ბიზნესმენი შემოგვიერთდება. ბატონმა გოჩამ რომელ საქმესაც ხელი მოჰკიდა, ბრწყინვალედ დააგვირგვინა. ასე იქნება ახლაც“. გ. ძასოხოვმა კი თავის მხრივ იქვე დასძინა: „მარტო მე ვერაფერს გავხდები, ყველამ ერთად, თანადგომით უნდა დავძლიოთ პრობლემები“.

**მაია ჩიბურდანიძე:** „მიხარია, რომ ასეთი ფონდი შეიქმნა და მას ბატონი გოჩა ჩაუდგა სათავეში. მე ერთადერთი სპორტსმენი ვარ, რომელსაც ვეტერანიც მეთქმის და მოქმედიც. „დინამოსთანაა“ დაკავშირებული მთელი ჩემი სპორტული ცხოვრება. იმედია, ეს სპორტული ორგანიზაცია კვლავ დაიბრუნებს ქართული სპორტის ფლაგმანის სახელს“.

**ლუკა კურტანიძე:** „ამ სპორტულ საზოგადოებას მრავალგზის მოუტანია დიდება ქართული სპორტისთვის. დასანანია, რომ ასეთი ღვაწლმოსილი ორგანიზაციის აღორძინებაზე გვიხდება ლაპარაკი. კიდევ კარგი, რომ გამოჩნდა კაცი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამ საქმეს. ბატონ გოჩას წარმატებას ვუსურვებ თანამოაზრეებთან ერთად“.

ბევრის მეტყველი იყო ვეტერანი ფეხბურთელის **ილია დათუნაშვილის** გამოსვლა, რომელმაც სინანულით აღნიშნა, რომ „დინამოს“ სტადიონზე მათაც აღარ უშვებენ, ყველაფერი გაიყიდა ჩალის ფასად. ფონდის შექმნა მან ხსნად მიიჩნია, მადლობაც გადაუხადა გოჩა ძასოხოვს ყურადღებისა და წამოწყებისთვის, ამასთან, მხარში ამოდგომაც აღუთქვა.

„დიდი მადლობა, რომ გაგვახარეთ ვეტერანები, ღმერთმა ინებოს, აღორძინდეს „დინამო“ — ეს უკვე მზია ჯუღელის სიტყვებია.

ვეტერანმა დინამოელმა, ძალოსნობაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა **რაფაელ ჩიმიშკიანმა** კი ყველას შეახსენა, რომ 1952 წელს ჩვენთვის პირველ ოლიმპიადაზე და შემდეგაც საქართველოდან საბჭოთა ნაკრებში ყველაზე მეტი წარმომადგენლობა სწორედ „დინამოს“ ჰყავდა.

„სიძნელეებს არ შევუშინდებით, „დინამო“ იქნება ერთიანი, როგორც ეს იყო ადრე და არავითარ შემთხვევაში, დაქსაქსული. ყველაფერი მიმართული იქნება ერთი საერთო მიზნისა და ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად“ — კიდევ ერთხელ დაარწმუნა ყველა გოჩა ძასოხოვმა...

თ. თომაშვილი

# დინამოელები და თარიღები. მარტი

**1941 წლის 8 მარტს** დაიბადა **გურამ პეტრიაშვილი** — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ჩემპიონი და ოთხგზის მესამე პრიზიორი, სსრ კავშირის თასის ფინალისტი. უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 281 მატჩი, გაიტანა 13 გოლი. გარდაიცვალა 2002 წელს.

**1937 წლის 15 მარტს** დაიბადა **შოთა იამანიძე** — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, 1964 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის თბილისის „დინამოს“ კაპიტანი, სსრ კავშირის სამგზის მესამე პრიზიორი, სსრ კავშირის თასის 1960 წლის ფინალისტი. სსრ კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის დასახელდა სამჯერ. დაიღუპა 1971 წელს.

**1968 წლის 18 მარტს** დაიბადა **თემურ ქეცბაია.** თამაშობდა თბილისის „დინამოში“, „ანართოსისში“ (კვიპროსი), სპორტის ოსტატი, საქართველოს ორგზის ჩემპიონი, 1990 წელს დასახელდა საქართველოს №1 ფეხბურთელად.

**1912 წლის 23 მარტს** დაიბადა **შოთა შავგულიძე.** იყო თბილისის „დინამოს“, საქართველოს და ამიერკავკასიის ნაკრებების კაპიტანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, 1939, 1940 წლებში იყო სსრ კავშირის ორგზის მეორე პრიზიორი, 1937 წელს — მესამე პრიზიორი, 1936, 1937 წლებში — სსრ კავშირის თასის ფინალისტი, გარდაიცვალა 1963 წელს.

**1931 წლის 24 მარტს** დაიბადა **ზაურ კალოევი** — სპორტის დამსახურებული ოსტატი, 1960 წელს იყო ოლ. თამაშების შესარჩევი ტურნირის მონაწილე, 1957 წელს დაეუფლა სსრ კავშირის თასს, იყო სსრ კავშირის ჩემპიონატების სამგზის პრიზიორი (1-II, 2-III). 1959, 1960 წლებში გახდა სსრ კავშირის საუკეთესო ბომბარდირი, ერთხელ დასახელდა 33 საუკეთესოთა შორის. გარდაიცვალა 1998 წელს.

**1953 წლის 24 მარტს** დაიბადა **ოთარ გაბელია** — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ევროპის ქვეყნების თასების თასის მფლობელი (1981), სსრ კავშირის თასის მფლობელი (1977), სსრ კავშირის მეორე და მესამე პრიზიორი, 1979 წელს დასახელდა სსრ კავშირის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ, ნაკრებში ითამაშა 2 მატჩი, ერთხელ დასახელდა „33“-ში.

**1949 წლის 25 მარტს** დაიბადა **მანუჩარ მაჩაიძე** — სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ჩემპიონი (1978), ვერცხლის და ოთხგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელი, თასის ორგზის (1976, 1979) მფლობელი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მონაწილე, ნაკრებში ითამაშა 4 მატჩი, „33“-ში დასახელდა 8-ჯერ.

**1915 წლის 29 მარტს** დაიბადა **არჩილ კიკნაძე** — სპორტის დამსახურებული ოსტატი. სსრ კავშირის ორგზის მეორე (1939, 1940) და მესამე (1946, 1947) პრიზიორი. უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 150 მატჩი. გარდაიცვალა 1967 წელს.

**1930 წლის 30 მარტს** დაიბადა **ანატოლი (გიგა) ნორაკიძე** — სპორტის ოსტატი. დიდხანს მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა გუნდში მწვრთნელად.

# საფეხბურთო ვიქტორინა

**1. რომელ წელს შედგა პირველი საქალაქთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში თბილისისა და ბაქოს ნაკრებ გუნდებს შორის?**

ა — 1909 წელს; ბ — 1913 წელს; გ — 1925 წელს

**2. როდის ჩაატარა თავისი პირველი ოფიციალური საერთაშორისო მატჩი თბილისის „დინამომ“?**

ა — 1934 წელს; ბ — 1936 წელს; გ — 1937 წელს

**3. ვინ იყო 1964 წელს თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი ტაშკენტის საჩემპიონო მატჩში?**

ა — გ. კაჩალინი; ბ — ა. ლოლობერიძე; გ — ა. კოტრიკაძე

**4. სსრ კავშირის თასისთვის ბრძოლაში ფინალურ მატჩში ვის სძლია თბილისის „დინამომ“?**

ა — მოსკოვის „სპარტაკს“; ბ — მოსკოვის „დინამოს“; გ — ერევნის „არარატს“

**5. დაასახელეთ ვინ იყო თბილისის „დინამოს“ კაპიტანი 1941-1946 წლებში**

ა — შოთა შავგულიძე; ბ — ბორის პაიჭაძე; გ — გაიოზ ჯეჯელავა

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-ბ.

უცხოელები „დინამოს“ სამსახურში

# მიხეილ იაკუშინი



ის იყო ბრწყინვალე ფეხბურთელი და ჰოკეისტი. მერე მწვრთნელი გახდა და აღზარდა ფეხბურთელთა თაობები. წვრთნიდა მოსკოვის „დინამოს“, თბილისის „დინამოს“ — ჯერ 1950-1953 წლებში, შემდეგ — 1962-1964 წლებში და მესამედ — 1974-1975 წლებში. მუშაობდა აგრეთვე ტაშკენტის „პახტაკორსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივში“. 1957-1958 წლებში იყო სსრ კავშირის ნაკრების მეორე, 1967-1968 წლებში კი უფროსი მწვრთნელი. იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

გარდაიცვალა 1997 წელს.

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №17 (31) მარტი, 2005 წელი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის წარმოება

## სუნ ძიმ თქვა:

## ომის წარმოების წესი ასეთია


კახა ბასილია

შენ გაქვს ათასი მსუბუქი და ათასი მძიმე ეტლი, გყავს ათი ათასი ჯარისკაცი, სურსათ-სანოვაგე უნდა გააგზავნო ათასი მილის მანძილზე, მაშინ საშინაო და საგარეო ხარჯები, ხარჯები სტუმრების მიღების დროს, მასალა წებოსა და ლაქისათვის, ეტლებისა და შეიარაღების აღჭურვა; ყველაფერ ამისათვის დღეში ათასი ოქრო იხარჯება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ასიათასიანი ჯარის ამოქმედება.

თუ ომი მიმდინარეობს და გამარჯვება ჭიანურდება, მაშინ იარაღი ფუჭდება, ჩლუნგდება; თუ ალყა ციხესიმაგრეზე ხანგრძლივია, მაშინ ძალები სუსტდება; თუ ჯარებს ბრძოლის ველზე დიდი ხნით დატოვებენ, სახელმწიფოს სახსრები არ ეყოფა.

როცა იარაღი ჩლუნგდება და ფუჭდება, ძალები სუსტდება და სახსრები ილევა, თავადები (სიტყვა „თავადები"-ს განმარტება მოცემულია მე-2 თავის შენიშვნაში) შენს სისუსტეს გამოიყენებენ და შენს წინააღმდეგ წამოვლენ. ამ დროს რომც გყავდეს ჭკვიანი მსახურები, მაინც ვერაფრის გაკეთებას შეძლებ.

ამის გამო, ომის დროს, როცა იგი სწრაფია, თუნდაც გაუწაფავად, მაგრამ მაინც უძლევბიან მას და რაღაც მცირე მიღწევებიც აქვთ, მაგრამ თუ იგი გაჭიანურდება, რაგინდ კარგად გამოიყენონ სამხედრო ხელოვნება, წარმატებას ვერ მიაღწევენ.

ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ომის დიდხანს გაგრძელებას რაიმე სარგებლობა მოეტანოს სახელმწიფოსთვის. ამიტომ, ის, ვისაც ბოლომდე არ ესმის, თუ რამდენად მავნეა ომი, იმასაც ვერ მიხვდება ბოლომდე, თუ რა სარგებლობა შეიძლება მივიღოთ მისგან.

ის, ვინც იცის ომის წარმოება, ორჯერ გაწვევას არ ახდენს, სურსათსაც სამჯერ არ ტვირთავს, აღჭურვილობას თავის სახელმწიფოში იღებს, სურსათს მოწინააღმდეგესთან აგროვებს. ამიტომაც მას ყოფნის საკვები ჯარისკაცებისათვის.

ომის დროს სახელმწიფო ღარიბდება იმიტომ, რომ სურსათს შორს აგზავნის, როცა სურსათი შორს იგზავნება, ხალხი ღარიბდება.

ის, ვინც არმიასთან ახლოსაა, ისინი ძვირად ჰყიდიან, ხალხს სახსრები ელევა; როცა სახსრები ელევა, ბეგარის გადახდა ძნელდება.

ძალები სუსტდება, სახსრები ილევა და სახლებსა და ქვეყანაში სიცარიელეა, ხალხის ქონება მცირდება 0,7-ით; მმართველის ქონება — საბრძოლო ეტლები დამტვრეულია, ცხენები დაუძლურებული, მუზარადები, თორ-აბჯარი, მშვილდ-ისარი, ოროლები და მცირე ფარები, შუბები და დიდი ფარები, ხარები და ოთხთვალები, ყველაფერი ეს მცირდება 0,6-ით.

ამიტომ ჭკვიანი მხედართმთავარი ცდილობს იკვებოს მოწინააღმდეგის ხარჯზე, ამ დროს მოწინააღმდეგის ერთი გირვანქა საკვები საკუთარი საკვების 20 გირვანქას უთანაბრდება; ერთი ფუთი ქატო და თივა მოწინააღმდეგისა, უტოლდება საკუთარი საკვების 20 ფუთს.

მოწინააღმდეგეს კლავს გააფთრება (ჩვენი); მის სიმდიდრეს ხელთ იგდებს სიხარბე (ჩვენი).

თუ ბრძოლის დროს ხელთ იგდებთ 10 ან მეტ ეტლს, დაურიგე ისინი საჩუქრად მათ, ვინც პირველებმა იგდეს ხელთ ეს ეტლები და შეცვალე მათი ალმები, შეურიე ეს ეტლები საკუთარ ეტლებში და იარე ასე. ტყვე ჯარისკაცებს კი მოეპყარი კარგად, იზრუნე მათზე. სწორედ ამას ჰქვია გაიმარჯვე მტერზე და გაზარდე შენი ძალა.

ომს უყვარს გამარჯვება და არ უყვარს გახანგრძლივება (გაჭიანურება).

ამიტომ სარდალი, რომელმაც იცის ომის არსი, არის ხალხის ბედის მჭედელი, არის სახელმწიფოს უშიშროების ბატონ-პატრონი.

**რუბრიკას უძღვება საქართველოს კარატე დო-ს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, კახა ბასილია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართულმა კარატემ ექსპერიმენტის სახით კომერციული ტურნირების ჩატარება განიზრახა“

## კლუბ „შოდანის“ შეჯიბრი და ახალი გეგმები




საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის კლუბმა „შოდანმა“ საგაზაფხულო ტრადიციული ტურნირი ბრწყინვალედ ჩაატარა, რომელშიც 250-ზე მეტი სპორტსმენი ასპარეზობდა!

„შოდანის“ ტურნირმა ძალიან მოკლე ხანში დიდი პოპულარობა მოიპოვა, რადგან კლუბმა გამარჯვებული კარატისტები, უკვე მეორედ, ფულადი პრიზებით დააჯილდოვა. ეს უპირველეს ყოვლისა ქართველი სპორტსმენებისათვის საკმაოდ დიდი სტიმული იქნება, რაც, თავისთავად, კარატეს პოპულარობას კიდევ უფრო გაზრდის. „ტურნირის ორგანიზაციულ-სპორტულმა დონემ აშკარად მოლოდინს გადააჭარბა, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო კლუბ „შოდანის“ პრეზიდენტს კობა ცერცვაძეს და ვიცეპრეზიდენტს ზურა მესხს. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და ზურა მესხს მივულოცავ მეოთხე დანს, რომელიც მას მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციამ დამსახურებულად მიანიჭა. ზურა მესხმა, ეს ტიტული წლების განმავლობაში თავდაუზოგავი შრომის შედეგად მოიპოვა. ვუსურვებ შემდგომ წარმატებას კარატეს და ცხოვრების გზაზე“ — განაცხადა შეჯიბრის დასასრულს საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ.

კლუბ „შოდანის“ პრეზიდენტი, კობა ცერცვაძე ამ ტურნირით კმაყოფილებას გამოთქვამს, თუმცა მომავალი წლისათვის ტურნირის ახალი ფორმატით და უფრო დიდი საპრიზო



ფონდით ჩატარებას გეგმავს. შეჯიბრის ბოლოს კობა ცერცვაძემ კიდევ ერთხელ მოიხსენია მადლიერებით საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია.




ახალტიტულიანმა ზურა მესხმა კარატისტისთვის დამახასიათებელი თავშეკავებით აღნიშნა: „დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, სენსეი კახა ბასილიას, რომლის დამსახურებითაც მივიღე მეოთხე დანი და, რა თქმა უნდა, დიდი მადლობა მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციას, არც მათ დამიკარგეს ჩემი შრომა. ახლა, რაც შეეხება „შოდანის“ საგაზაფხულო ჩემპიონატს: დიდი სურვილი გვაქვს ყველას ფედერაციასაც და კლუბსაც, რომ ეს ტურნირი ერთ-ერთი პრესტიჟული გახდეს. ამ ეტაპზე მე კმაყოფილი ვარ საერთო დონით, სპორტსმენების მომზადებით და მსაჯების. მაგრამ ჩვენი მიზანია უფრო მეტი და მეტი“ — გვითხრა ზურა მესხმა.

ტურნირს საუკეთესო კარატისტიც ჰყავდა, დავით ტყებუჩავა, რომელმაც მართლაც შესანიშნავად იასპარეზა და საუკეთესოდაც სამართლიანად დასახელდა. გუნდურ ჩათვლაში კლუბმა „შოდამა“ პირველობა არც ამჯერად არ დაუთმო არავის და ისევ პირველი იყო. „შოდანმა“ ტურნირზე პერსპექტიული კარატისტიც დაასახელა — ერეკლე ცერცვაძე (საჩხერე) და სპეციალური პრიზითაც დააჯილდოვა

## ტურნირის შედეგები

7 **წელი**
დათო რევია
ნოდარ გაბუნია
ოთარ კობეშავიძე
ცოტნე დვალი

8 **წელი**
ზურა საკანდელიძე
თორნიკე გოდერიძე
ოთარ კორკელია
გიორგი ფალიანი

9 **წელი**
მიშიკო ხმელიძე
დავით წიკლაური
გიორგი გერსამია
სტეფანე უსტაფა

10 **წელი**
ალეკო გოგოლაშვილი
დათო მერაბიშვილი
ირაკლი ტალახაძე
ლაშა მინდიაშვილი

11 **წელი**
ლაშა აბრამიშვილი
ავთო ჩულაშვილი
თეგა ლომთაძე
გიორგი იანვარაშვილი

12 **წელი**
თორნიკე ტყეშელაშვილი
იასე კაიშაური
თენგიზ კაიშაური
რატი გოდოლაძე

13 **წელი**
კონსტანტინე ბობოხიძე
გენადი სიჭინავა
ბექა სუთიძე
თორნიკე ბახტაძე

14 **წელი**
ლაშა კვაბზირიძე
გოგა სილაგავა
დიმიტრი კოპაძე
გიორგი დალაქიშვილი

15 **წელი**
გოგა დოლაბერიძე
ემზარ თაგლი
გიორგი ხუფენია
ვალერ ბუთხუზი

16 **წელი**
ლადო ლვინიაშვილი
ბექა დაოფაძე
გიორგი გვეხიძე
ლევან გელდიაშვილი

17 **წელი**
დათო ტყებუჩავა
გელა სირბილაძე
ირაკლი ჩხიტუნიძე






საქართველოს
საუკეთესო
კარატისტთა
დაჯილდოვების
გენერალური
სპონსორია
უმაღლესი
ხარისხის ლუდი
„ზაგორკა“

**ნუგზარ ქიაბერაშვილი — საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი.**

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში, სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით.

ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89. WWW.karate.ge
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცდიის ცენტრალური ოფისი

空手道

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola მთავარი სპონსორი

# რას ჭვრეტს ფეროს კვამლში „დინამო"?

საქართველოს XVI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
XXII ტური
უმაღლესი ლიგა

ეროვნული პირველობის ოცდამესამე ტურის „ოლიმპის" (ასკ-ს) სტადიონზე გასამართი ეს მატჩი, რიგითი კალენდარული შეხვედრა იქნებოდა ლიდერსა და აუტსაიდერს შორის, რომ არა დღევანდელი ვითარება. გათამაშების ცხრილში თბილისის „დინამო" ისევ პირველია, მაგრამ „ზესტაფონი" აღარაა უიმედო მაჩანჩალა. პირიქით, ფეროელთა მახარაძისეული გუნდი ისე მოღონიერდა, რომ წლეულს, საერთოდ, დაუმარცხებელია და სეზონი სწორედ დედაქალაქური „დინამოს" თასის გათამაშებიდან გამოგდებით დაიწყო. მერე იყო წაუგებელი სერია ჩემპიონატში და ბათუმის „დინამოსთან" უშეღავათო ბრძოლა თასის ნახევარფინალის საგზურისთვის, რომელიც **კახა ჩხეტიანის** გვიანი გოლით მოიპოვეს კიდეც იმერლებმა. „ზესტაფონი" სამ თბილისურ გუნდს შეუერთდა და ერთ-ერთს ფინალისთვის დაუპირისპირდება. სწორედ ამიტომაა თბილისის „დინამოსა" და „ზესტაფონის" ხვალინდელი მატჩი ტურში გამორჩეული და საინტერესო. წინა ტურში პრინციპული თამაში მოუგო „დინამომ" „ტორპედოს", ალბათ, არც ზესტაფონელებთან დაპირისპირებისას დააგდებენ აღებულ ტემპს გეგუჩაძის შეგირდები, რაც მახარაძის ბიჭების უკომპრომისო ხასიათის ჩინებული გამოცდა იქნება და თვალსაჩინოდ გამოჩნდება ვინ არის დღეს ძლიერი, ამჟამინდელი ლიდერი თუ ოდინდელი აუტსაიდერი.

ჩემპიონატის მეორე და მესამე გუნდები „თბილისი" და „ტორპედო" გასვლით შეხვედრებს ჩაატარებენ. თბილისელები ბათუმელებს გაუწევენ მეტოქეობას ზღვისპირეთში, ქუთაისელებს კი გორის სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო „დილასთან" პაექრობა ნეიტრალურ მინდორზე მოუწევს. „ტორპედო" მძიმე დღეშია, აშკარა აუტსაიდერს კი ეთამაშება, მაგრამ ზედიზედ მეოთხე მარცხმა შეიძლება გუნდი ფსიქოლოგიურად წელში გატეხოს, თუმცა, გორელებსაც უკან დასახევი გზა აღარ აქვთ და შესაძლებელია ერთ-ერთ ლიდერს მედგარი წინააღმდეგობაც გაუწიოს. „ტორპედო" „თბილისს" და „დინამოს" ჯერ დიდი სხვაობით არ ჩამორჩება და არც ქულები ეთმობა. საკმაოდ საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლებია მოსალოდნელი ფოთში და ბოლნისში. „ფაზისს" „ლოკომოტივი", „სიონს" კი „ვიტ ჯორჯია" ესტუმრება. ორივე სტუმარი გუნდი საევროპო ოთხეულში შესვლას ცდილობს და მასპინძელთა მძიმე სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებას, ალბათ, არც აპირებს.

**XXIII ტური**
**12 მარტი**
კოლხეთი1913 — ლოკომოტივი
დილა — ტორპედო (ჩატარდება ჭიათურაში)
დინამო (თბ) — ზესტაფონი (ჩატარდება ასკ-ს სტადიონზე)
დინამო (ბთ) — თბილისი
სიონი — ვიტ ჯორჯია

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 22 | 14 | 3 | 5 | 45-22 | 45 |
| თბილისი | 22 | 13 | 4 | 5 | 44-26 | 43 |
| ტორპედო | 22 | 11 | 7 | 4 | 34-18 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 10 | 6 | 6 | 36-26 | 36 |
| ლოკომოტივი | 22 | 8 | 10 | 4 | 30-19 | 34 |
| ზესტაფონი | 22 | 9 | 2 | 11 | 21-38 | 29 |
| დინამო (ბთ) | 22 | 6 | 8 | 8 | 25-20 | 26 |
| კოლხეთი1913 | 22 | 6 | 5 | 11 | 22-30 | 23 |
| სიონი | 22 | 6 | 2 | 14 | 20-45 | 20 |
| დილა | 22 | 2 | 3 | 17 | 14-47 | 9 |

**ბომბარდირები**
მელქაძე (დინამო თბ) — 16
მეგრელაძე — (ტორპედო) — 14.

## გამოხმაურება «რამდენი წლისაა ქართული ფეხბურთი»?

**ინტერესით ვადევნებ თვალს თქვენს გაზეთში მიმდინარე დისკუსიას, რომლის მიზანია დადგინდეს საქართველოში ფეხბურთის ასაკის ათვლის თარიღი. მე მესმის რას გულისხმობთ — თანამედროვე ფეხბურთი გაქვთ მხედველობაში, ალბათ, თორემ ფეხბურთის მსგავსი ნაირსახეობა გურიაში ოდითგან იყო შემორჩენილი და „ფეხბაკვრიე" ერქვა. ძალიან გთხოვთ ამაზეც დაფიქრდეთ. იქნებ მკვლევარებმა გააკეთონ დასკვნები. რატომ მაინცდამაინც ინგლისური ფეხბურთის სავათეებს ეძებთ საქართველოში? ცოტა შორსაც გავიხედოთ.**

**აპოლონ ჩხიკვაძე,**
**პენსიონერი, ჩოხატაური.**

**რედაქციისაგან:** უპირველესად საქართველოს სპორტის აკადემიის ფეხბურთის კათედრას და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ვეტერან თანამშრომლებს ვთხოვთ დაინტერესდნენ ავტორის მიერ წამოწეული საკითხით.

## აი, რას ამბობდა ბორის პაიჭაძე

„დღეს საქართველოს ყველა ქალაქი იჩემებს პირველობას, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ქართული ფეხბურთის სამშობლო ფოთია. აქ ფეხბურთი ქართულ მარგანეცთან ერთად შემოვიდა".

**(ოთარ გაგუას წიგნიდან „ბორის პაიჭაძე", თბ, 1990 წ. გვ. 6).**

## 1894 წლიდან?..

ბათუმიდან დაგვირეკა ფეხბურთის ქომაგმა **ალეკო ჩხარტიშვილმა** და არაერთ საინტერესო და საყურადღებო ინფორმაციასთან ერთად, მოგვაწოდა ცნობა იმის შესახებ, რომ ქართული სპორტის ცნობილი ვეტერანი მკვლევარი **ამირან ცამციშვილი** თავის ერთ-ერთ წიგნში ადასტურებს, რომ საქართველოში ფეხბურთის დანერგვა იწყება 1894 წლიდან. ვთხოვთ ბატონ ამირანს, საინიციატივო ჯგუფს „ლელო" რედაქციაში მიაწოდოს ზემოხსენებულ თარიღთან დაკავშირებული წყარო, რაც უდიდეს სამსახურს გაგვიწევს ჭეშმარიტების დადგენაში.

**საინიციატივო ჯგუფი.**

# საქართველო – საბერძნეთი საქართველო – თურქეთი სანაკრებო მატჩებამდე

**სანაკრებო მატჩებამდე ორ კვირაზე ოდნავ მეტი რჩება. თუმცა, წინასამატჩო ციებ-ცხელება თანდათან პიკს უახლოვდება. მზადდება პროგრამები, აფიშები, ბილეთები. გვარდება სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხები. მატჩების მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. საქართველოს ეროვნული გუნდის ევროპის ჩემპიონთან და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორთან წარმატებულ პაექრობაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი გუნდის შემდგომი წინსვლა შესარჩევ ციკლში. გამარჯვება ქართული ფეხბურთის ირგვლივ არსებულ, ხშირ შემთხვევაში ხელოვნურად გამოწვეულ უსაფუძვლო აჟიოტაჟს ჩააცხრობს და სწორი კალაპოტით წაიყვანს.**

**პირველი მატჩი 26 მარტს ბერძნებთან გვაქვს. ელადის შვილები გერმანელი თავკაცით 24 მარტს გვესტუმრებიან. თურქები კი 28 მარტს ჩამოვლენ და 30 მარტს ჩვენებს დაუპირისპირდებიან. ორივე მატჩი „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება და 20.30 საათზე დაიწყება. წინა დღით ეროვნულ სარბიელზე ახალგაზრდული გუნდები ითამაშებენ. შეხვედრათა ბილეთების ფასი 20-დან 50 ლარამდეა. ყველაზე ძვირადღირებული ბილეთები წინასწარი განცხადების საფუძველზე, უკვე გაყიდულია. ფეხბურთის ქომაგთა ლიგის ერთ-ერთმა თავკაცმა ზურაბ პეტრიაშვილმა ითხოვა ბილეთების ფასის დაკლება და სფფ-ს პრეზიდენტისადმი მიმართვაც გააცნო ჟურნალისტებს. სფფ-ს გენმდივნის ვალერი ჩოლარიას განმარტებით კი, ბილეთების თითქოსდა მაღალი ფასი სფფ-ს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში დაეხმარება, რომელშიც შედის ნაკრების ლეგიონერთა მგზავრობის, საბიუჯეტო გადასახადების, საწვრთნელი შეკრების, მატჩების დელეგატების, მსაჯების, სტუმარი გუნდების დელეგაციათა მიღების, ბილეთების, პროგრამის და აფიშების, დაცვის და სტადიონზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარჯების დაფარვაში, ისიც იმ შემთხვევაში, თუ საჭირო თანხის ამოღება მოხერხდა. შემოსავალი ნაკრების პრემიებსაც მოხმარდება. „ქომაგთა ლიგას კი ვთხოვთ დაგვეხმაროს სტადიონზე წესრიგის დამყარებაში და ყველა საჭირბოროტო საკითხის ერთობლივად მოგვარებაში" — აცხადებს სფფ-ს გენერალური მდივანი.**

**საქართველოს ეროვნული ნაკრების ფრანგი მწვრთნელი ალენ ჟირესი თბილისში დღეს უნდა ჩამოვიდეს. ბერძნულ-თურქულ საფეხბურთო დესანტთან დაპირისპირებისათვის სამზადისი აქედანვე დაიწყება, დასახელდება ნაკრების კანდიდატები, საწვრთნელი პროცესი, სავარაუდოდ 21 მარტიდან დაიწყება.**

# პირველლიგური შაბათობა

მორიგი მეჩვიდმეტე ტური პირველ ლიგაშიც შაბათს დაიწყება და კვირას გაგრძელდება. მოწინავე ხუთეულს მეტნაკლები სირთულის მატჩები ელის. თუმცა, სავსებით შესაძლებელია ხუთეული სამეულად გარდაიქმნას, ბორჯომელები კი კონკურენტებს კიდევ უფრო დასცილდნენ, მაგრამ არ ვიჩქაროთ. აქაც, ლიდერები ძირითადად აუტსაიდერებს ეთამაშებიან და კონკრეტულ მატჩებში ფავორიტებიც არიან, თუმცა, თავისებური ინტრიგა ამ ტურის შეხვედრებში არის და გამორიცხული არაფერია.

**XVII ტური**
**12 მარტი**
ჩიხურა — რუსთავი
**13 მარტი**
მალაროელი — ვიტ ჯორჯია (მცხ)
საგარეჯო — კახეთი
დინამო2 (თბ) — გურია
სპარტაკი — მილანი-მერანი
ლოკომოტივი2 — ცხინვალი
ამერი — ოლიმპი
ივერია — ბორჯომი

საქართველოს XVI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
XVI ტური
პირველი ლიგა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 16 | 13 | 1 | 2 | 44-20 | 40 |
| ვიტჯორჯ.(მცხ) | 16 | 11 | 3 | 2 | 27-10 | 36 |
| სპარტაკი | 16 | 10 | 6 | 0 | 31-15 | 36 |
| ამერი | 16 | 11 | 1 | 4 | 45-8 | 34 |
| კახეთი | 16 | 10 | 2 | 4 | 28-21 | 32 |
| დინამო2 (თბ) | 16 | 8 | 1 | 7 | 39-26 | 25 |
| ცხინვალი | 16 | 7 | 3 | 6 | 22-20 | 24 |
| ივერია | 16 | 6 | 5 | 5 | 16-17 | 23 |
| გურია | 16 | 6 | 3 | 7 | 16-23 | 21 |
| ჩიხურა | 16 | 6 | 2 | 8 | 16-20 | 20 |
| ლოკ-2 (თბ) | 16 | 5 | 4 | 7 | 21-24 | 19 |
| მილანი-მერანი | 16 | 4 | 1 | 11 | 19-31 | 13 |
| რუსთავი | 16 | 4 | 1 | 11 | 19-32 | 13 |
| ოლიმპი | 16 | 3 | 4 | 9 | 15-27 | 13 |
| საგარეჯო | 16 | 2 | 4 | 10 | 16-40 | 10 |
| მალაროელი | 16 | 0 | 3 | 13 | 8-48 | 3 |

## დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი. მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი



ზესტაფონი — დინამო (ბთ) 1-0 (0-0)

ზესტაფონი: ცენტრალური სტადიონი. 7000 მაყურებელი. 8 მარტი.

ზესტაფონი: ქვაჩახია, იონანიძე, ჩიკვილაძე, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, ზირაქიშვილი, ლ. შავგულიძე (ვ. გუჩუა, 75), წუდნი (ბ. გოცირიძე, 44, სულაკაძე, 85), ძამსაშვილი, კ. ჩხეტიანი, თურმანიძე.

დინამო (ბთ): სოლოლაშვილი, ი. მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი (მანწკავა, 76), გალოგრე, ხუჯაძე, ბესო თედორაძე, ცანავა (ლლონტი, 84), ლ. ხმალაძე, ხარაზი (დარჩიძე (74), ხომერიკი.

გოლი: 1-0 კ. ჩხეტიანი (86).

გააფრთხილეს: ლონლაძე (30), ცანავა (39), ჩიკვილაძე (87).

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი).

ნახევარფინალში გასული ოთხეული — „თბილისი", „ლოკომოტივი" „ვიტ ჯორჯია" და „ზესტაფონი" — დღეს, 12.30 საათზე კენჭისყრით დაწყვილდებიან, მატჩები კი 6 აპრილს და 4 მაისს გაიმართება.

# რეგიონალური ლიგა,

**აღმოსავლეთი, XVI ტური**
ნორჩ. დინამო2 — სიონი2 1-2
თბილისი — ამერი 2-3
ალგეთი — დინამო (სოხ) 0-8
სპარტა — გაგრა 0-1
თბილისი3 — რუსთავი2 0-1
კახეთი2 — ერთობა 2-0
იმედი — ცხუმი 0-0
ნორჩ. დინამო — დურუჯი 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი2 | 16 | 14 | 1 | 1 | 43-12 | 43 |
| დინამო (სოხ) | 16 | 12 | 2 | 2 | 48-15 | 38 |
| გაგრა | 16 | 12 | 2 | 2 | 30-5 | 38 |
| სიონი2 | 16 | 12 | 1 | 3 | 39-16 | 37 |
| ნორჩი დინ. | 16 | 7 | 5 | 4 | 23-21 | 26 |
| სპარტა | 16 | 7 | 3 | 6 | 21-27 | 24 |
| ცხუმი | 16 | 7 | 3 | 6 | 15-15 | 24 |
| თბილისი3 | 16 | 6 | 3 | 7 | 20-18 | 21 |
| რუსთავი2 | 16 | 5 | 3 | 8 | 15-29 | 18 |
| იმედი | 16 | 4 | 4 | 8 | 20-25 | 16 |
| დურუჯი | 16 | 4 | 3 | 9 | 18-35 | 15 |
| ალგეთი | 16 | 3 | 6 | 7 | 10-27 | 15 |
| კახეთი2 | 16 | 4 | 2 | 10 | 22-35 | 14 |
| თბილისი | 16 | 4 | 1 | 11 | 25-36 | 13 |
| ნორჩი დინ2 | 16 | 3 | 4 | 9 | 19-30 | 13 |
| ერთობა | 16 | 1 | 3 | 12 | 15-37 | 6 |

# ალბანეთი დაიხურა

**9 თებერვალს, უკრაინასთან დამარცხების სიმწარე, ალბანელმა ქომაგებმა ბოთლების, სანთებლების, მონეტების და დროშის ტარების მინდორზე სროლით (ნაცნობი სურათია, არა?!) გამოხატეს. გულშემატკივართა ხულიგნური საქციელი ფიფას უყურადღებოდ არ დაუტოვებია და სანქციამაც არ დააყოვნა. ალბანეთის ეროვნული გუნდი 4 ივნისს ქართველებს და 3 სექტემბერს ყაზახებს ცარიელი სტადიონისა და ტრიბუნების წინაშე მიიღებს. ასე რომ, ტირანის „ქემალ სტაფა" მაყურებლებისთვის ორი მატჩით დაიხურება. 40 ათასი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმდა ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციაც. მაყურებელთა ხულიგნობისთვის ალბანეთი მეორედ დაისაჯა. შარშან, ოქტომბერში, ასევე ხულიგნობისთვის ფიფამ ალბანელები 14 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა.**

ჩვენი მეტოქეები

# ყაზახებმა გამოაცხადეს

26 მარტს, სერგეი ტიმოფეევის ყაზახეთის ეროვნული გუნდი დანიას ესტუმრება და მორტენ ოლსენის შეგირდებს დაუპირისპირდება. ყაზახეთის ნაკრების დანიური განაცხადი ასეთია:

**მეკარეები:** იური ნოვიკოვი (ირტიში), ალექსანდრ მოკინი (ქენისი); **მცველები:** იგორ ავდეევი (ქენისი), სამატ სმაკოვი (ყაირათი), რენატ დუბინსკი (შინიკი, რუსეთი), დმიტრი ლიაპკინი (ხიმკი, რუსეთი), პირალი ალიევი (ყაირათი), ყაირათ უტუბაევი (ყაირათი), ალექსანდრ ფამილცევი (ტომი, რუსეთი). **ნახევარმცველები:** ანტონ ჩიჩულინი (ყაირათი), ანდრეი კაპროვიჩი (ყაირათი), მაკსატ ბაიჟანოვი (კაისარი), მაქსიმ ნიზოვცევი (ტობოლი), მაქსიმ აზოვსკი (ალმათი), რუსლან ბალტიევი (მოსკვა, რუსეთი), ანდრეი ტრავინი (ალმათი), სერგეი ლარინი (ალმათი); **თავდამსხმელები:** დენის როდიონოვი (ატირაუ), ალიბეკ ბელეშევი (ყაირათი), მაქსიმ შევჩენკო (შახტიორი).

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართვა გულშემატკივრებისადმი

მარტის ბოლოს, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის. საბერძნეთისა და თურქეთის ნაკრებ გუნდებთან წარმატების შემთხვევაში, ჩვენს გუნდს რეალური შანსი უჩნდება იმ მიზნის მისაღწევად, რასაც ექვსი შესარჩევი ტურნირის განმავლობაში ელის ქართველი გულშემატკივარი. წარმატებული სტარტი იმედს გვაძლევს, რომ 26 და 30 მარტი ქართული ფეხბურთის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს.

ასეთ მნიშვნელოვან მატჩებში გამარჯვება, მხოლოდ საფეხბურთო მოედანზე წარმატებული მოქმედებით არ მიიღწევა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართველი გულშემატკივრის მხარდაჭერას. ჩვენი ქვეყნის მდიდარი საფეხბურთო ტრადიციები ხომ სწორედ მსგავსი ერთსულოვნების შედეგია. თუმცა, სამწუხაროდ, გვახსოვს ვაიგულშემატკივრების საქციელის გამო მიღებული მკაცრი სანქციებიც. უახლოესი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ასეთი მაგალითები იყო — „დინამო" — „ლიბერეცის", საქართველო — ირლანდიის ეროვნულ და საქართველოსა და დანიის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მატჩებზე. ამ ექსცესების გამო, ჭეშმარიტი გულშემატკივარი „უმაყურებლო მატჩებით" დაისაჯა. უკანასკნელი განგაშის ზარი საქართველოსა და ლიტვის ეროვნული გუნდების ამხანაგური მატჩისას გაისმა.

ფიფა მკაცრად რეაგირებს მაყურებელთა უწესრიგობაზე სტადიონებზე, რისი სულ ახალი მაგალითია ალბანეთის ნაკრები, რომელიც უახლოეს ორ საშინაო მატჩს უმაყურებლოდ ჩაატარებს საქართველოსა და ყაზახეთის ნაკრებებთან.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, ჯერ კიდევ პირობითი დისკვალიფიკაციის სტატუსით უწევს მატჩების საკუთარ მოედანზე გამართვა. ამიტომ მცირე დარღვევაც კი, შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს და ქართველი ქომაგი ხანგრძლივი დროით დაემშვიდობოს დიდ ფეხბურთს.

იმედი გვაქვს გულშემატკივარი ჭეშმარიტი ქომაგობით დაეხმარება ეროვნულ ნაკრებს ჩვენი საერთო, სანუკვარი მიზნის მიღწევაში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

„ქართული ფეხბურთის"
რედაქტორი
მიხეილ საბახტარიშვილი

# ოტო რეჰაგელი – „ბერძნული საოცრების შემქმნელი“

**ევროპის ახალ ჩემპიონს თამამად შეიძლება „მწვრთნელის გუნდი“ ეწოდოს. მის მოთამაშეებს, ევრო-2004-ის დანარჩენი მონაწილეების ფონზე, ვარსკვლავები კი არა, დიდად გამორჩეულებიც არ ეთქმით. როგორღა მოახერხა მან საფეხბურთო სამყაროს შეძვრა?**
**მკითხველებს ვთავაზობთ ერთ-ერთი უცხოური გაზეთისათვის ოტო რეჰაგელის მიერ მიცემულ ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს.**



◆ ***ჰერ რეჰაგელ, ყველას როდი მიაჩნია, რომ საბერძნეთის ნაკრებმა სამართლიანად მიიღო მაღალი ტიტული.***

— არ მესმის, საერთოდ, როგორ შეიძლება ვინმე დაეჭვდეს ჩვენი გამარჯვების სამართლიანობაში. საკმარისია, იმ მეტოქეთა სიის უბრალო თვალის გადავლება, რომლებიც დავამარცხეთ. გზიდან ჩამოვიცილეთ საფრანგეთი — იმ დროისათვის ევროპის მოქმედი ჩემპიონი, გავიმარჯვეთ ჩეხებზე, რომლებსაც ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტთა შორის მოიხსენიებდნენ, მასპინძელ პორტუგალიელებს კი ორჯერ ვძლიეთ. ამასთანავე, ყველა მეტოქე მსაჯების დახმარებით ან რაღაც აკრძალული ხერხებით კი არა, პირწმინდად დავამარცხეთ და ყოველივე ამის შემდეგ განა შეიძლება დაეჭვება ჩვენს ჩემპიონობაში? ჩვენს ტრიუმფს სენსაციას უწოდებენ, თანაც, ყოვლად მოულოდნელს. კი ბატონო, ეს, როგორც გნებავთ, მაგრამ ამ მიღწევის კანონზომიერებაში ეჭვის შეტანა — მაპატიეთ და...

◆ ***სკეპტიკოსები ამტკიცებენ, თითქოს თქვენი წარმატება იმან განაპირობა, რომ საქმე გქონდათ გადაღლილ და ჩვეული კალაპოტიდან ამოვარდნილ და ფორმადაკარგულ მეტოქეებთან, რომლებიც საბრძოლველად არ იყვნენ შემართულნი.***

— რაც შეეხება მეტოქე-მოთამაშეების საბრძოლო შემართების „დეფიციტს“, ეს ყველაფერი გამოგონილია. შემართული იყო ყველა, ამას ვერავის დაუწუნებდი. ვის არ უნდოდა გამარჯვება? სხვა საქმეა, რომ არ იცოდნენ — როგორ. ეს მწვრთნელებსაც ეხებათ და მათ უნდა ვუსაყვედუროთ. რატომ არ გამოჰყავდათ ისინი, ვინც კარგ ფორმაში იყვნენ? კი, სხვა გუნდებს თეორიულად შეეძლოთ ჩვენზე უკეთ ეთამაშათ. მაგრამ მათ ეს მინდორზე ვერ აჩვენეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენ ამის საშუალება არ მივეცით.

◆ ***რა თქმა უნდა, ფაქტობრივად, ექვსი მცველით თამაშობდით, არც ერთი თავდამსხმელი არ გყავდათ, წუთითაც არ გავიწყდებოდათ დაცვის სიმჭიდროვე. ასეთი ხერხით მიღწეული გამარჯვება ღირსეულად მიგაჩნიათ?***

— რატომაც არა. იგი ღირსებას მოკლებული მაშინ იქნებოდა, წესებით აკრძალული რომ ყოფილიყო. მაგრამ წესებში არ არის ნათქვამი, რომ ფეხბურთის თამაში ასე არ შეიძლება. სხვა საქმეა, ჩვენს თამაშს სანახაობრივი რომ ვერ უწოდებ. მაშ, რაღა გინდათ? გუნდში რომ მყოლოდა ზიდანი, ანრი ან რაული, ალბათ სანახაობრივობასაც არ დაგვიწუნებდით. ისე კი, ვკმაყოფილდებით იმით, რაც გვაქვს და მოთამაშეთა ხასიათიდან გამომდინარე ვგეგმავდით თამაშს.

◆ ***ლობანოვსკის ხშირად საყვედურობდნენ პრაგმატულ თამაშს, იგი კი პასუხობდა: „ფეხბურთში ყველაზე ლამაზი ტაბლოზე წარმოდგენილი ანგარიშიაო“. ეთანხმებით ლობანოვსკის?***

— მესმის თქვენი ირონია. გუნებაში ვფიქრობ ისე, როგორც ლობანოვსკი, თითქმის ყველა მწვრთნელი ასე ფიქრობს. სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენ ხელფასს შედეგებისთვის გვიხდიან. ეფექტური და სანახაობრივი ფეხბურთისათვის ჯერ არავისთვის არ წაუმატებიათ თანხა.

◆ ***თქვენი ხელმძღვანელობით ორი წლის მომზადების შედეგად საბერძნეთის ნაკრებმა ასეთ დიდ წარმატებას მიაღწია...***

— ეს ახლაა, საბერძნეთი ხელის გულზე რომ მატარებს. ევრო-2004-ის კამპანია რომ დავიწყე, ვაკვირდებოდი მოთამაშეებს, ვარჩევდი, ვის შეიძლებოდა დავყრდნობოდი. ცუდად დავიწყეთ შერჩევითი ტურნირი — ორი წაგებით ესპანეთთან (0-2, და 0-2) შინ და სტუმრად. გაზეთებში ჩემს შესახებ ყველაზე ლმობიერი სათაური იყო: „რაში გვჭირდება გერმანიიდან ამ ტურისტის აყვანა“. მაგრამ შემდეგ საქმე აეწყო — დარჩენილ ექვსივე მატჩში გავიმარჯვეთ ისე, რომ გოლი არ გაგვიშვია. ჯგუფში პირველობა მოვიპოვეთ და დამატებით წაუგებელი 15-მატჩიანი სერია ჩავატარეთ. მხოლოდ ამის შემდეგ განეწყო პრესა ჩემს მიმართ კეთილმოსურნედ.

**უშანგ ჭიჭინაძე**

# თქვენთვის, ფეხბურთის ერუდიტებო!



**დაიბადა 1940 წლის 6 ივნისს სერბიაში. თამაშობდა: 1956-1968 წლებში ბელგრადის „პარტიზანში“. 1968-1972 წ.წ. საფრანგეთის „მონაკოში“, „ნიცაში“, შვეიცარიის „ვინტერტურში“. 1972-1977 წლებში თამაშობდა მექსიკაში. 1983-1986 წლებში იმუშავა მექსიკის ნაკრების მთავარ მწვრთნელად.**

**1987-1990 წლებში კვლავ სამწვრთნელო პოსტზეა, წვრთნიდა: არგენტინის „სან ლორენცოს“, იტალიის „უდინეზეს“, მექსიკის „ვერაკრუზს“. 1991-1995 წლებში მიიწვიეს აშშ-ის ნაკრების მთავარ მწვრთნელად, ხოლო 1995-1997 წლებში კვლავ მექსიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელია. 1997-1998 წ.წ. ნიგერიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზეა, ხოლო 1998-1999 წლებში ნიუ-იორკის (აშშ), „მეტროსტარის“ მთავარი მწვრთნელია. 2000-2002 წლებში ჩინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ეკავა. 2003-2004 წლებში ჰონდურასის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, ხოლო 2004 წლის აგვისტოდან კატარის საფეხბურთო კლუბ „ალ სად“-ს.**

**ვინა იგი?**

**„ლელოს“ №14-ში გამოქვეყნებული შეკითხვის პასუხი**

სურათზეა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მეკარე ჟან-მარი პფაფი.

# ქართული ფეხბურთის პათოლოგიის დიაგნოზი

**თვალსაზრისი**

მწვრთნელობა და ფეხბურთის ცოდნა, ბოლომდე, უმაღლესი ლიგის ფეხბურთელობაზეც არ არის დამოკიდებული. არათუ IV-V ეშელონში, უმაღლეს დონეზე ნათამაშებ ზოგიერთ დიდ ფეხბურთელსაც კი არ გაუმართლებია ამ საქმეში (ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, გივი ჩოხელი, გაიოზ ჯეჯელავა, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, ვოვა გუცაევი, დავით ყიფიანი, ალფრედო დი სტეფანო, რაიმონ კოპა, ბობი ჩარლტონი, იოჰან კრუიფი, ზიკო, პლატინი, ფიოლერი და მრავალი სხვა). ცხოვრებაში არ უთამაშიათ ფეხბურთი, მაგრამ უდიდესი მწვრთნელები იყვნენ: ჟოაო სალდანია (ბრაზილია), ელენიო ერერა (ესპანეთი) და კარლოს ბილარდო (არგენტინა). დიდი არაფერი ფეხბურთელები ყოფილან გავრილ კაჩალინი და ნოდარ ახალკაცი, მაგრამ მათ გარეშე წარმოუდგენელია საბჭოთა და ქართული ფეხბურთი. იგივე ითქმის არიგო საკისა და ანჩელოტის შესახებაც, რომელთა გარეშე დღევანდელი მსოფლიო ფეხბურთი წარმოუდგენელია. არც სწავლა-განათლებაა გადამწყვეტი, თორემ კახა ასათიანმა პირველმა დაამთავრა მოსკოვის უმაღლესი ფეხბურთის მწვრთნელთა სკოლა და სტაჟირება ინგლისსა და იტალიაში გაიარა.

ათეულობით წლების განმავლობაში ვესწრებოდი გულშემატკივართა შეკრებებსა და საუბრებს მუშტაიდის პარკში და ბევრჯერ მქონია კამათი მათ ლიდერ ვაჟა კიკნაძესთან. მას არც ფეხბურთი უთამაშია და არც საფეხბურთო ჟურნალისტიკაზე უსწავლია, მაგრამ ცხოვრებაში იშვიათად მინახავს მასზე დიდი ფეხბურთის სპეციალისტი. ესაა გასაოცარი ნიჭის, ცოდნისა და ინტელექტის პიროვნება, რომელიც „ჯიბეში ჩაისვამს“ უამრავ დიპლომიან მწვრთნელსა თუ ფეხბურთელ-სპეციალისტს. დილეტანტია იგი?

ფიროსმანს არსად უსწავლია, მაგრამ დღეს უპირველესი მხატვარია არა მარტო თვითნასწავლთა, არამედ, თბილისის, მოსკოვის და სხვა ქვეყნების სამხატვრო აკადემიადამთავრებულ მხატვართა შორის. დიახ, ეს სოფლელი, უსწავლელი კაცი თანდაყოლილი უბადლო ნიჭის წყალობით დიდი მხატვარია და მისი სურათი დავით აღმაშენებელთან, შოთა რუსთაველთან, თამარ დედოფალთან, ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ივანე ჯავახიშვილთან და ზაქარია ფალიაშვილთან ერთად ქართულ ეროვნულ ვალუტაზე — ფულის ერთეულზე არის გამოსახული!

ბევრმა, შესაძლოა არც იცის, რომ ნოდარ დუმბაძე ეკონომისტი იყო, გურამ ფანჯიკიძე — მეტალურგი, აკაკი ბელიაშვილი — გეოლოგი, პოლ გოგენი — მაკლერი, ჟოაო სალდანია — ჟურნალისტი, ხოლო კარლოს ბილარდო — ექიმი!

უდიდეს ამერიკელ კომპოზიტორს ჯორჯ გერშვინს სპეციალური მუსიკალური განათლება არ მიუღია! ამასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მახსენდება: თავისი შემოქმედებითი ზენიტის პერიოდში გერშვინი ჩავიდა პარიზში და მორის რაველს სთხოვა მისთვის კომპოზიცია ესწავლებინა. გაოცებულმა დიდმა ფრანგმა კომპოზიტორმა პატივცემულ მაესტროს უთხრა:

— მე შემიძლია ჩაგიტაროთ რამდენიმე გაკვეთილი, მაგრამ რად გინდათ გახდეთ მეორეხარისხოვანი რაველი, როცა პირველხარისხოვანი გერშვინი ხართ!

ესეც თქვენი დილეტანტიზმი!

სპეციალური განათლება არ მიუღიათ აგრეთვე ჟორჟ პიერ სიორას, აგიუსტ რენუარს, ედგარ დეგას, დავით სიკეიროსს, ჯუსეპე დე რიბერას, მიკლუხო მაკლაის და სხვა მრავალ გამოჩენილ ადამიან-სპეციალისტებს. იგივე ითქმის დიდ ქართველ გეოგრაფ ვახუშტი ბაგრატიონზეც, რომელმაც საოცარი ტალანტის წყალობით, ისე შეადგინა ტაო-კლარჯეთის შესანიშნავი რუკა, რომ იქ არც კი ყოფილა?!

უამრავი ანალოგიური ფაქტის მოყვანა შეიძლება ფიზიკაში, ბიოლოგიაში, მედიცინაში, მექანიკაში, ეკონომიკაში, ისტორიაში და ა.შ. მაგრამ ვინმემ ისე კი არ გამიგოს, თითქოს მე პროფესიონალიზმს ვაკნინებდე. ნურას უკაცრავად, მაგრამ ვაცხადებ, რომ მართალია პური მეპურემ უნდა აცხოს, მაგრამ ეს ლოგიკა შესაძლოა ათასში ერთ შემთხვევაში დაირღვეს, როცა საქმე ნიჭიერ კაცთან გვაქვს-მეთქი.

თითქოსდა, ერთი, მესამეხარისხოვანი საკითხი უნდა გამოვიტანო თქვენს წინაშე. ესაა თამაშის პროცესში ფეხბურთელის შეცვლა. მწვრთნელი ამ სვლას მიმართავს მაშინ, თუ რომელიმემ ტრავმა მიიღო ან თამაში არ გამოუვიდა და შესაცვლელი შეიქნა, ან გადაიღალა, ან კიდევ, თამაში იწურება და ანგარიშის შესანარჩუნებლად დროის გაყვანაა საჭირო და ა.შ. მაგრამ, ფეხბურთელის გამოცვლა ძირითადად იმიტომ ხდება, რომ გუნდის თამაშის ხარისხი და შესაბამისად, ანგარიში არადამაკმაყოფილებელია და ახალმა ფეხბურთელმა იქნებ შეცვალოს რაღაც. ამ დროს, მწვრთნელს დიდი შორსმჭვრეტელობა და გათვლა სჭირდება. ნოდარ ახალკაცი მარცხენა მცველ თავაძეს შეცვლიდა მუჯირით (ან პირიქით) და ამ, თითქოსდა უმნიშვნელო თუ გაუგებარი ცვლილებით, „დინამოს“ გადამწყვეტი გოლი გაჰქონდა, ასე მომხდარა არაერთხელ.

საქართველო — უნგრეთის მატჩის დროს ყველაშვილი და არველაძე შეცვალა იაშვილითა და დემეტრაძით, რამაც ანგარიშში სასურველი ასახვა ჰპოვა. მთავარი ისაა, რომ შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელმა თუ ფეხბურთელებმა უნდა შეცვალონ არადამაკმაყოფილებელი სტილი თუ იერიშების წყობა, რასაც მეტოქემ ალღო აუღო, მიეჩვია და მის წინააღმდეგ შესაბამისი იმუნიტეტი გამოიმუშავა. შესაძლოა იერიში იერიშს მოსდევს, დიდია უპირატესობა, მაგრამ მოწინააღმდეგემ უკვე იცის ყველაფერი, თუ რას და როგორ აპირებ, გაშიფრულია მოსალოდნელი სვლები და არაფერი გამოდის. აი, სწორედ ასეთ დროს, შეცვლაზე შემოსაყვანია არა იმდაგვარივე ყაიდის ფეხბურთელი, რომლის თამაშის წინააღმდეგ მეტოქეს იმუნიტეტი აქვს გამომუშავებული, არამედ, მოედანზე უნდა გამოვიყვანოთ რადიკალურად განსხვავებული სტილის ფეხბურთელი თუ ფეხბურთელები. ერთი სიტყვით, შოთა არველაძე აჩიკო არველაძემ არ უნდა შეცვალოს. სწორედ ამიტომ იყო ასეთი წარმატებული ყველაშვილისა და არველაძის მაგიერ რადიკალურად განსხვავებული სტილის ფეხბურთელების იაშვილისა და დემეტრაძის შემოსვლა.

და პირიქით, ვთქვათ თამაში ჩვენთვის სასურველ კალაპოტში მიმდინარეობს, მაგრამ მოულოდნელად, ტრავმა მიიღო შოთა არველაძემ. ასეთ შემთხვევაში, არსებული რიტმისა თუ სტილის შესანარჩუნებლად, შოთას ნაცვლად აჩიკოს შემოყვანა უნდა მოხდეს.

დასასრულ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნორჩი ფეხბურთელების საექიმო კონტროლის საქმეს და კვების საკითხს. თანამედროვე პირობებში ეს საქმე ნულამდეა დაყვანილი. იშვიათად, საექიმო კონტროლის ქვეშ რომ იმყოფებოდნენ ნორჩი ფეხბურთელები. არადა, ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები შესანიშნავადაა გადმოცემული და ახსნილი რ. სვანიშვილის, თ. ქუთათელაძის, რ. ოქროსცვარიძის წიგნში „ნორჩი ფეხბურთელი და საექიმო კონტროლი“. ალბათ, ეს წიგნი არის ყველაზე თანამედროვე (გამოცემის წლის — 1986, მიუხედავად) და სრულყოფილი სახელმძღვანელო, თუკი რაიმე მეთოდური დაბეჭდილა საქართველოში. ამიტომ მიმაჩნია, რომ ძალზე აუცილებელია მისი ხელახალი გამოცემა (იმედია, ავტორები მას შეავსებენ თითქმის 20-წლიანი მედიცინის მიღწევებით).

მოგეხსენებათ, ნორჩები ყოველი თამაშის შემდეგ ნახევარ კილოგრამს კარგავენ წონაში. გარდა ამისა, ეცლებათ დიდი ენერგია, რასაც შემდეგში ესაჭიროება აღდგენა. თუ ეს ვერ მოხდა, ორგანიზმი დაზიანდება და შედეგი გამოუსწორებელი იქნება. აღნიშნულ წიგნში შესანიშნავად არის მოცემული თუ დღე-ღამეში რა რაციონის პროდუქტი და ვიტამინები უნდა მიიღოს ბავშვმა. მე კი, როგორც მეფუტკრეობაში ღრმად ჩახედულმა კაცმა, მინდა ჩვენს მწვრთნელებს და ნორჩი ფეხბურთელების მშობლებს, აგრეთვე ყველა ფეხბურთელს ერთი რჩევა მივცე. ალბათ, ახალს არაფერს ვიტყვი, თუ განვაცხადებ, რომ თაფლი და ფუტკრის პროდუქტი ენერგიის აღდგენის შესანიშნავი საშუალება არის-მეთქი. მაგრამ უნდა გამოვყო ე.წ. „ყვავილის მტვერი“, გავაცნოთ ამ ჯადოსნური პროდუქტის თუ წამლის საოცარი მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

„ყვავილის მტვერს“ ამზადებს ფუტკარი და განკუთვნილია ბარტყებისათვის. თუკი თაფლის გარკვეულ წილად შეცვლა შაქრის სიროფით, ასე თუ ისე, შეიძლება, „ყვავილის მტვერი“ შეუცვლელია. 30 კილოგრამი „ყვავილის მტვერი“ ზრდის და „ავაჟკაცებს“ 150 000 ფუტკარს. იგი შეიცავს პროტეინს, ამინომჟავებს, შაქარს, მინერალურ ნივთიერებებს, ყველა სახის ვიტამინებსა და პოლივიტამინებს, ჰორმონებს, ცხიმებს და სხვა მრავალ ნივთიერებებს, რომელთა შორის ზოგიერთი დღემდე არ არის გამოკვლეული. იგი უხდება ყოველგვარ დაავადებას. გარდა ალერგიისა. ზოგიერთ ადამიანს შეიძლება ალერგიული მგრძნობიარობა აღმოაჩნდეს მის მიმართ, რადგან იგი მზადდება ყვავილებისაგან. ამიტომ თავიდან მისი გასინჯვა უნდა მოხდეს). ეს ჯადოსნური წამალ-პროდუქტი გამოიკვლია ფრანგმა მეცნიერმა კაიასმა და გამოსცა წიგნი მისი ღირებულებების შესახებ. „ყვავილის მტვერი“ აჯანსაღებს, ახალგაზრდავებს ორგანიზმს, აღადგენს მკვდარ უჯრედებს. მისი გამოყენების შედეგად, მომავალში გამოირიცხება სიმსივნეები, პროსტატის, თირკმლების, ღვიძლის და სხვა ორგანოების ავადმყოფობა. ასუფთავებს სისხლს, ამაღლებს გემოგლობინს, აუმჯობესებს მხედველობას, სწრაფად აღადგენს ენერგიას, ორგანიზმში აზღვავებს ჯან-ღონეს და ა.შ. არის ძლიერი დოპინგი კარგი გაგებით.

აპიმონდიის ბიულეტენში აღნიშნულია, რომ დღეს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, სპორტსმენებს აძლევენ „ყვავილის მტვერს“, რაც დიდად უწყობს მათ ხელს წარმატებებში. განსაკუთრებით პოპულარულია იგი შვეციაში, სადაც აბების სახით („ცერნილტონი“) ამზადებენ და აფთიაქებში იყიდება. შვეციის ჰოკეისტთა ნაკრების მომზადებაში დიდი ადგილი უკავია „ყვავილის მტვერს“. ჰოლივუდისა და ევროპის გამოჩენილი მსახიობი ქალები და მანეკენები რეგულარულად ღებულობენ მას, რათა სახის კანს მისცენ ხავერდოვნება და იყვნენ მარად ახალგაზრდები.

მოზარდმა ფეხბურთელებმა ორი ჩაის კოვზი, ხოლო ზრდასრულებმა სამი ჩაის კოვზი „ყვავილის მტვერი“ რომ მიიღონ დღეში, ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევენ საკუთარ ორგანიზმს და დიდი წარმატებები ექნებათ სპორტში.

„ყვავილის მტვერის“ შეძენა შეგიძლიათ მეფუტკრეობის ნებაყოფლობით საზოგადოებაში (თბილისის იპოდრომის უკან) ან დიდუბეში „მემამულეთა მაღაზიაში“ („სამთო ქიმიის“ გვერდით), სადაც დეტალურად გაგარკვევენ ამ საოცრების განუმეორებელ თვისებებში. ფასი 20-30 ლარი — ერთი კილოგრამი. თუმცა, ამ ბოლო დროს თბილისში შემოვიდა ამერიკული ნატურალური წამლები და მათ შორის „ყვავილის მტვერიც“, რომელიც, მართალია გაცილებით ძვირია, მაგრამ ხარისხით ბევრად სჯობს ზემოთ დასახელებულ წამლებს.

რეზიუმეს სახით მინდა ვთქვა, რომ ხშირად გამიგონია, ჩვენი ფეხბურთის ასერიგად ჩავარდნის მიზეზი ქვეყნის უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობააო. რა თქმა უნდა, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ერთმა გულშემატკივარმა მუშტაიდის პარკში, გერმანიასთან შინწაგებული მატჩის შემდეგ, მოსწრებულად თქვა: „გვასმევენ, გვაჭმევენ, შიმშილით წაქცევისაგან გვშველიან და ახლა შენ, ფეხბურთში გინდა მაგათ მოუგო?“ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე არის სტადიონები, მოედნები, სკოლები, სექციები, ინვენტარი, შეჯიბრებები, ხელფასები, რეკლამა და ა.შ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ საქართველოს ფეხბურთში კრიზისი „ანტისაბჭოური რევოლუციის“ შემდეგ კი არა, 1983 წლიდან დაიწყო. ამ დროს ქვეყანა ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად ყოველმხრივ აყვავებული იყო. მაგრამ, სწორედ ამ უპრობლემო პერიოდში თბილისის „დინამო“ ისე ჩავარდა, რომ ძლივს გადაურჩა სსრ კავშირის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის დატოვებას. იმასაც ხშირად გაიგებთ, ქვეყნის ჩემპიონატია სუსტი და ესაა ყველაფრის მიზეზიო. არც ამაშია ძაღლის თავი დამარხული. ჰოლანდიისა და დანიის საფეხბურთო ლიგები, ტრადიციულად, საკმაოდ დაბალი დონისაა, მაგრამ ჰყავთ უძლიერესი ნაკრებები.

ე.ი. მიზეზი არა მარტო დუხჭირი ცხოვრება ყოფილა. ქართული ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობა მწიფდებოდა თანდათან, წლების განმავლობაში (სწორედ მაშინ, ევროპული წარმატებებისაგან განცხრომაში რომ ვიმყოფებოდით) და მისი გამომწვევი არის ის ნაკლოვანებები, რაც ზემოთ ჩამოვთვალე. ავადმყოფის მკურნალობისა და გამოჯანმრთელებისათვის მთავარი და გადამწყვეტი სწორი დიაგნოზის დასმაა და თუ ჩემეული აზრები გასაზიარებელი იქნება ჩვენი მწვრთნელებისა და ფეხბურთის მესვეურებისათვის, ტყუილად არ მიცხოვრია ფეხბურთით 40 წლის განმავლობაში.

**ომარ ჩხეიძე**

(დასასრული. დასაწ. „ლელო“ №8-16)

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „ბებერმა ქალბატონმა" ჩემპიონთა ლიგიდან „რეალის" ვარსკვლავები „დაიფრინა"

გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მერვედფინალური მატჩები.

მარსელ სალაიეტამ და დავიდ ტრეზეგემ მადრიდის „რეალს" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისაკენ მიმავალი გზა გადაუჭრეს. პირველი მატჩი იტალიურმა გუნდმა სტუმრად 0-1 წააგო, მაგრამ საპასუხო მატჩისთვის მაინც გამონახა ძალები მერვედფინალური ეტაპის დასაძლევად.



მადრიდის „რეალის" ფეხბურთელების მთავარი ამოცანა იყო, არ გაეშვათ ბურთი საკუთარ კარში. პირველი 45 წუთის განმავლობაში მათ მხოლოდ ერთი საგოლე მომენტი შექმნეს „იუვენტუსის" კართან. არც სტუმართა გოლკიპერს — იკერ კასილიასს უხერხულია მაინცდამაინც. თუმცა, მოედანზე აშკარად იგრძნობოდა „იუვენტუსის" ტერიტორიული უპირატესობა. შორიდან გოლის გატანას ცდილობდნენ დელ პიერო და კამორანეზი, თუმცა, უშედეგოდ. პირველ ტაიმში „რეალმა" მიაღწია იმას, რომ სწრაფი გოლი არ გაუშვა.



მეორე ტაიმის დაწყებიდან „იუვენტუსის" მწვრთნელმა კაპელომ მოედანზე დავიდ ტრეზეგე შემოიყვანა და ამან გადაწყვიტა მატჩის ბედი. 75-ე წუთზე მარჯვენა ფლანგზე კამორანეზიმ წამოიწყო კომბინაცია, იბრაჰიმოვიჩმა თავით გადაუგდო ბურთი ტრეზეგეს და ამ უკანასკნელმა ვარდნაში ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა — 1-0.

ზიდანისა და ბექჰემის გარეშე დარჩენილ (ორივე ფეხბურთელი ლუშემბურგომ შეცვალა: გოლის გატანამდე 3 წუთით ადრე ჯერ ზიდანი გაიყვანა მოედნიდან და გუტი შეუშვა, ხოლო 76-ე წუთზე ბექჰემს სოლარი ჩაანაცვლა) „რეალს" ახლა უკვე საპასუხო გოლის გატანაზე უნდა ეფიქრა, ანდა, პენალტების სერიამდე მაინც უნდა მიეყვანა საქმე.

ძირითად დროში გოლი აღარ გასულა და დამატებითი დრო დაინიშნა. 113-ე წუთზე რონალდომ და ტაკინარდიმ ნერვები ვერ მოთოკეს და მსაჯმა ორივე მოედნიდან გააძევა. სამი წუთის შემდეგ კი სალაიეტამ გაიტანა გადამწყვეტი მეორე გოლი „რეალის" კარში. დარჩენილ ოთხ წუთში „რეალმა" ვერ მოახერხა საპასუხო გოლის გატანა და ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობა. როგორც ჩანს, მადრიდის „რეალი" ამ სეზონში ტიტულების გარეშე რჩება.

**გუნდების შემადგენლობა.**

**„იუვენტუსი":** ბუფონი, პესოტო (ტაკინარდი, 68), ემერსონი, იბრაჰიმოვიჩი, დელ პიერო (ტრეზეგე, 56), კამორანეზი, ძამბროტა, ტურამი, სალაიეტა, ძებინა, კანავარო.

**„რეალი":** კასილიასი, რობერტო კარლოსი, ზიდანი (გუტი, 72), ელგერა, რაული ბრავო, რონალდო, ფიგუ, რაული (ოუენი, 99), გრავესენი, სამუელი, ბექჰემი (სოლარი, 76).



ლონდონის „არსენალი" საკუთარ მოედანზე ამაოდ ცდილობდა ორბურთიანი ჰანდიკაპით მოეგო მიუნხენის „ბაერნისათვის" (წინა შეხვედრა გერმანულმა კლუბმა 3-1 მოიგო). მხოლოდ ტიერი ანრიმ გაიტანა ერთადერთი გოლი ამ შეხვედრაში (1-0), მაგრამ შემდგომ ეტაპზე „ბაიერნი" გავიდა.

**გუნდების შემადგენლობა.**

**„არსენალი":** ლემანი, ე. კოული, ვიეირა, იუნგბერგი (ვან პერსი, 80), რეიესი (პირესი, 63), ბერხკამპი, ლაურენი, ანრი, ფლამინი (ფაბრეგასი, 64), სენდეროსი, ტურე.

**„ბაიერნი":** კანი, სანიოლი, ლუსიო, რ. კოვაჩი, დემიკელისი, ბალაკი, პისარო, სალიჰამიჯიჩი (ჰარგრივსი, 90), დაისლერი (ზე რობერტო, 73), გერერო (ლინკე, 85), ლიზარაზუ.

პირველი მატჩის შემდეგ, ანალოგიურ მდგომარეობაში იყო „ლევერკუზენი". ვერც ამ გუნდმა შეძლო ორბურთიანი სხვაობის გაბათილება, პირიქით, გერმანულმა გუნდმა საკუთარ მოედანზე მარცხი იწვნია „ლივერპულთან" — 1-3.

პირველი ტაიმის შემდეგ ლივერპულელები 2-0 იგებდნენ ლუის გარსიას გოლებით. 67-ე წუთზე ბაროშმა მესამედ აიღო მასპინძელთა კარი. დარჩენილ დროში „ლევერკუზენმა" მხოლოდ ერთი საპასუხო გოლის გატანა მოახერხა.

ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ფინალისტის — „მონაკოს" საშინაო მარცხი პსვ „ეინდჰოვენთან". სტუმრები ჰესელინკის გოლით დაწინაურდნენ 27-ე წუთზე, შემდეგ კი ბიზლიმ წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა „მონაკოს" — 0-2.

ლონდონის „ჩელსიმ" საკუთარ მოედანზე „ბარსელონასთან" მეტად დრამატულ მატჩში გამარჯვება მოიპოვა და შემდგომ ეტაპზე გავიდა.

სტუმრად „ნოუ კამპზე" 1-2 დამარცხების შემდეგ ლონდონელთა მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ თავისი შეგირდები რევანშისთვის განაწყო. მას არ დავიწყებია რაიკაარდისა და მსაჯის „ტკბილი საუბარი", აგრეთვე, დროგბას გაძევებაც. დროგბას გარდა, „ჩელსის" განმეორებით მატჩში არუნ რობენი აკლდა, „ბარსელონას" კი — ცენტრალური მცველი რაფაელ მარკესი.

მატჩის დასაწყისი „ბარსელონასთვის" ნამდვილი კოშმარი გამოდგა. უკვე მერვე წუთზე კეჟმანის გადაცემის შემდეგ გუდიონსენმა ანგარიში გახსნა. მე-17 წუთზე ლემპარდმა მეორე გოლი გაიტანა სტუმართა კარში. ორ წუთში კიდევ ერთხელ შეცდნენ „ბარსელონას" მცველები და დაფმა 3-0 გახადა. ფრანკ რაიკაარდი გაოგნებული იყო. „ბარსელონასთვის" ამ უძნელეს ჟამს გაიბრწყინა რონალდინიომ. მან 27-ე წუთზე ჯერ თერთმეტმეტრიანით შეამცირა ანგარიშში სხვაობა, 38-ეზე კი ბრწყინვალე გოლი გაიტანა ლონდონელთა კარში — 3-2. ახლა უკვე „ბარსელონას" სასარგებლოდ ამუშავდა დრო. კატალონიელები ამ ანგარიშის შენარჩუნების შემთხვევაშიც მოიპოვებდნენ მეოთხედფინალის საგზურს, ლონდონელებს კი კიდევ ერთი გოლი უნდა გაეტანათ.

76-ე წუთზე „ჩელსის" კაპიტანმა ჯონ ტერიმ დაფის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი ზუსტად გაგზავნა მეტოქის კარისკენ — 4-2! რონალდინიომ და მისმა თანაგუნდელებმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს, მაგრამ გოლის გატანა ვეღარ მოახერხეს. „ჩელსიმ" 4-2 იმარჯვა და „ბარსელონა" გათამაშებიდან გამოთიშა.

**ამ მატჩში გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ:**

**„ჩელსი":** ჩეხი, პაულუ ფერეირა (ჯონსონი, 51), ტერი, რიკარდუ, კარვალიუ, გალასი, მაკელელე, ლემპარდი, ჯ. კოული, დაფი (ჰუტი, 85), გუდიონსენი (ტიაგუ, 78), კეჟმანი.

**„ბარსელონა":** ვალდესი, ბელეტი (ჟიული, 84), პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი (სილვინიო, 46), ერნანდესი, ხერარდი, დეკუ, ინიესტა (ლოპესი, 87), რონალდინიო, ეტო'ო.



ისევე, როგორც წინა მატჩში, „მილანმა" ამჯერადაც 1-0 დაამარცხა „მანჩესტერ იუნაიტედი". გოლის ავტორი კვლავ არგენტინელი ერნან კრესპო იყო.

ალექს ფერგიუსონი და „მანჩესტერ იუნაიტედი" არცთუ თავდაჯერებულნი ჩავიდნენ იტალიაში „მილანთან" განმეორებითი მატჩის ჩასატარებლად. ინგლისის პრემიერლიგის ბოლო ტურში მანჩესტერელები ფრეს დასჯერდნენ „კრისტალ პალასთან" შეხვედრაში (0-0) და კიდევ უფრო ჩამორჩნენ ერთპიროვნულ ლიდერს „ჩელსის". ალექს ფერგიუსონს მაინც სწამდა, რომ მისი შეგირდები „სან სიროზე" ერთი გოლის გატანას მაინც შეძლებდნენ, მაგრამ...

„მილანთან" შეხვედრაში განსაკუთრებით გიგზი აქტიურობდა. მას რამდენჯერმე ჰქონდა ხელსაყრელი მომენტი, თუმცა, „მილანის" კარი გადაურჩა გოლს — ბურთი ერთ მომენტში კარის ძელსაც მოხვდა. ამ მომენტის შემდეგ „მილანი" გამოფხიზლდა... 61-ე წუთზე კაფუმ ფლანგიდან ბურთი სტუმართა საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ყველას დაასწრო კრესპომ — 1-0. გოლის გაშვების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი" უკვე თავის თავს აღარ ჰგავდა. მასპინძლებს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ, მაგრამ ჰოვარდი ფხიზლად იყო. ამგვარად, მეოთხედფინალში „მილანი" გავიდა.



**გუნდების შემადგენლობა:**

**„მილანი":** დიდა, კაფუ, მალდინი, სტამი, გატუზო (კოსტაკურტა, 88), რუი კოშტა (დორასო, 84), კრესპო (ამბროზინი, 78), ნესტა, ზეედორფი, პირლო, კაკა.

**„მანჩესტერ იუნაიტედი":** ჰოვარდი, ჰაინცე, ფერდინანდი, ბრაუნი (სმიტი, 84), რონალდო, რუნი, ვან ნისტელროი, გიგზი (ფორჩუნი, 56), კინი, სქოულზი, სილვესტრი.

ფრანგულმა „ლიონმა" განმეორებით მატჩშიც გაანადგურა „ვერდერი" — 7-2.

**ტექნიკური შედეგები.**

**ჩემპიონთა ლიგა. განმეორებითი მერვედფინალური მატჩები.**

**„ჩელსი" – „ბარსელონა" 4-2,**
პირველი მატჩი 1-2.
**გოლები:** 1-0 გუდიონსენი (8), 2-0 ლემპარდი (17), 3-0 დაფი (19), 3-1, 3-2 რონალდინიო (27, 38), 4-2 ტერი (76).

**„მილანი" – „მანჩესტერ იუნაიტედი" 1-0.**
პირველი მატჩი 1-0.
**გოლი:** 1-0 კრესპო (61).

**„ლიონი" – „ვერდერი" 7-2,**
პირველი მატჩი 3-0.
**გოლები:** 1-0 ვილტორი (8), 2-0 ესიენი (17), 3-0 ესიენი (30), 3-1 მიკუ (32), 4-1 ვილტორი (55), 4-2 ისმაელი (57, პენ), 5-2 მალუდა (60), 6-2 ვილტორი (64), 7-2 ბერტო (80, პენ).

**„არსენალი" – „ბაიერნი" 1-0**
პირველი მატჩი 1-3.
**გოლი:** 1-0 ანრი (66).

**„იუვენტუსი" – „რეალი" 2-0 დ.დ.**
პირველი მატჩი 0-1.
**გოლები:** 1-0 ტრეზეგე (76), 2-0 სალაიეტა (116).

**„ლევერკუზენი" – „ლივერპული" 1-3.**
პირველი მატჩი 1-3.
**გოლები:** 0-1, 0-2 ლუის გარსია (28, 32), 0-3 ბაროში (67), 1-3 კრჟინოვეკი (87).

**„მონაკო" – „ეინდჰოვენი" 0-2**
პირველი მატჩი 0-1.
**გოლები:** 0-1 ჰესელინკი (27), 0-2 ბიზლი (69).

**ამგვარად მეოთხედფინალში გავიდნენ: „ჩელსი", „ლიონი", „მილანი", „იუვენტუსი", „ბაიერნი", „ლივერპული" და „ეინდჰოვენი". კიდევ ერთი მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვევა „ინტერისა" და „პორტუს" შორის. როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველი შეხვედრა პორტუგალიაში ფრედ – 1-1 დასრულდა.**

## ლუშემბურგო: „ჩვენ გამარჯვებაც შეგვეძლო"

**„იუვენტუსი" – „რეალის" მატჩის დამთავრების შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელებმა საკუთარი აზრი გამოთქვეს.**

**ფაბიო კაპელო („იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი): „ყოველთვის ძნელია ისეთი საფეხბურთო გრანდის დამარცხება, როგორიც მადრიდის „რეალია!" უძნელესი მატჩი იყო. მთელი შეხვედრა დამაჯერებლად ჩავატარეთ და მეტოქეს არ მივეცით საშუალება, საკუთარი თამაში მოეხვია ჩვენთვის. „იუვენტუსმა" მაღალი ხარისხის ფეხბურთი აჩვენა."**

**ვანდერლეი ლუშემბურგო (მადრიდის „რეალის" მთავარი მწვრთნელი): „მატჩამდე ყველა ჩვენს წინააღმდეგ იყო, ბევრი პრობლემა გვქონდა, მაგრამ ამ პრობლემების ფონზე მაინც შეგვეძლო გამარჯვების მოპოვება. ეს კარგად ჩანდა მაშინ, როცა ბურთს ჩემი შეგირდები ფლობდნენ და მეტოქეს უტევდნენ".**

**შეკითხვაზე, თუ რით იყო გამოწვეული ზინედინ ზიდანის გამოცვლა, ლუშემბურგომ უპასუხა, რომ ეს მისი ტაქტიკური გადაწყვეტილება იყო.**

## ურსაისი – კიდევ ერთი წელი «ბილბაოში»

ესპანური საფეხბურთო კლუბ „ბილბაოს" ხელმძღვანელობამ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი თავდამსხმელ ისმაელ ურსაისთან. კლუბის პრეზიდენტმა ფერნანდო ლამკისმა განაცხადა, რომ ურსაისი ჯერჯერობით საჭირო ფეხბურთელია. აქამდე ვარაუდობდნენ, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოს ურსაისი „ბილბაოს" რიგებს დატოვებდა.



## ახლა კოლინას დააბრალეს

**„ბარსელონას" მოთამაშეებმა „ჩელსისთან" დამარცხება ამჯერად მსაჯ პიერლუიჯი კოლინას დააბრალეს. ფეხბურთელების აზრით, კოლინას არ უნდა ჩაეთვალა ჯონ ტერის მიერ მეორე ტაიმში გატანილი გოლი „ბარსელონას" კარში.**

**„მე დავინახე, თუ როგორ მოხდა თავდასხმა ჩვენს გოლკიპერზე, რაზედაც მსაჯმა თვალები დახუჭა", – განაცხადა ესპანური კლუბის ლიდერმა რონალდინიომ.**

**„კოლინა „ჩელსის" გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა, როცა მე საჯარიმოში წამაქციეს, მსაჯმა პენალტი არ დანიშნა, შემდეგ კი პეტერ ჩეხის წინააღმდეგ უხეში თამაში ვერ შეამჩნია", – ეს სიტყვები სამუელ ეტო'ოს ეკუთვნის.**

## მეტოქეს დაარტყა...

ბრაზილიის საფეხბურთო კლუბ „ფლუმინენსეს" მოთამაშეს — ფელიპეს 180-დღიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს იმის გამო, რომ „კამპინენსესთან" მატჩის დროს მეტოქე გუნდის ფეხბურთელს მარკოს მენდესს სახეში მუშტი ჩაარტყა.

მატჩის არბიტრს ეს მომენტი არ დაუნახავს, მაგრამ ვიდეოჩანაწერზე ყველაფერი ნათლად ჩანდა. ფელიპეს განცხადებით, მენდესმა მას სულიერი შეურაცხყოფა მიაყენა, თუმცა, სასამართლომ ეს არ გაითვალისწინა.

## ვიალი: „ჩვენ ყველაფერი სუფთად მოვიგეთ"

**როგორც ცნობილია, მიმდინარეობს გამოძიება ტურინის „იუვენტუსის" საქმეზე, რომელიც ეხება 1994-1998 წლებში აკრძალული პრეპარატების გამოყენებას ფეხბურთელების კონდიციების ამაღლების მიზნით. წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ჯანლუკა ვიალიმ, რომელიც ზემოთ აღნიშნულ პერიოდში იცავდა „იუვენტუსის" დირსებას, განაცხადა, რომ არასოდეს გამოუყენებია დოპინგის საშუალებები.**

**„მერწმუნეთ, 1994-1998 წლებში მოპოვებული ყველა ტიტული სუფთაა", – ამბობს ვიალი.**

## დეპუტატიც და ნაკრების მწვრთნელიც...

უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი კვლავ შეინარჩუნებს სახალხო დეპუტატის სტატუსს.

„უკანასკნელ პერიოდში ოლეგ ბლოხინს პოლიტიკოსთა ნაწილი აიძულებს გააკეთოს არჩევანი ნაკრების მწვრთნელობასა და დეპუტატობას შორის. ქვეყნის კანონით, დაშვებულია ასეთი შეთავსებული მუშაობა" — ამბობს უკრაინის ნაკრების პრესატაშე იგორ მიროშნიჩენკო.

## 4,5 მილიონი პანდიანისათვის

**ინგლისის პრემიერლიგის გუნდ „ბირმინგემის" ხელმძღვანელობამ 4,5 მილიონი ევრო შესთავაზა ესპანურ „დეპორტივოს" თავდამსხმელ პანდიანის სანაცვლოდ. ამ კვირაში ორივე კლუბის წარმომადგენლები დაიწყებენ მოლაპარაკებებს პანდიანის ტრანსფერთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ პანდიანი არენდით თამაშობს „ბირმინგემის" შემადგენლობაში.**

# ნბა

## ბრაიანტის 44 ქულა



დაღლილი ალენ აივერსონი

**ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა.** ლოს-ანჯელესში დედაქალაქური დერბი შედგა: „ლეიკერსი" — „კლიპერსი". მატჩი „ლეიკერსის" შეტევებით დაიწყო. ამ გუნდის შემადგენლობაში განსაკუთრებით კობი ბრაიანტი გამოირჩეოდა, რომელმაც 41 ქულა დააგროვა, თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო წარმატებისათვის — „ლეიკერსი" დამარცხდა 101:110. „კლიპერსის" წარმატება მაგეტესა და ბრენდის ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა. მაგეტეს ანგარიშზეა 30 ქულა, ბრენდმა კი 22 ქულა დააგროვა და 15 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

ზაზა ფაჩულიას „მილუოკმა" 105:101 სძლია „ატლანტას". გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესო იყო უილიამსი, რომელმაც 22 ქულა შესძინა „მილუოკს" და 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

„ფილადელფია" საკუთარ მოედანზე 85:104 დამარცხდა „გოლდენ სტეიტთან". მასპინძლებს ამჯერად ვერ უშველა ალენ აივერსონის შედეგიანმა თამაშმა, — ამ კალათბურთელმა 33 ქულა დააგროვა, 6-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 5 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

„ჰიუსტონმა" სტუმრად ორი ქულის სხვაობით, — 97:95 დაამარცხა „სიეტლი", რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მაკ გრეიდს (35 ქულა, ბურთი ფარიდან 8-ჯერ მოხსნა).

**სხვა მატჩები:** „კლივლენდი" — „ორლეანი" 111:92, „ნიუ-იორკი" — „ვაშინგტონი" 93:83, „მინესოტა" — „შარლოტა" 102:97, „იუტა" — „ინდიანა" 83:89, „საკრამენტო" — „მემფისი" 85:82, „სან ანტონიო" — „ნიუ ჯერსი" 90:74.

**გუშინ** კიდევ რამდენიმე მატჩი გაიმართა. „ფინიქსმა" საკუთარ მოედანზე 107:101 დაამარცხა „სან ანტონიო". მასპინძელთა შემადგენლობაში საუკეთესო იყო სტუდემაიერი, რომელმაც „ფინიქსს" 44 ქულა შესძინა.

**სხვა მატჩები:** „ბოსტონი" — „ატლანტა" 95:91, „ტორონტო" — „ორლანდო" 106:96, „დეტროიტი" — „გოლდენ სტეიტი" 92:88, „ნიუ ორლეანი" — „ნიუ ჯერსი" 85:86.

## ფიზიკელას სჯერა, რომ ჩემპიონი გახდება




**„ფორმულა-1"-ის გუნდ „რენოს" პილოტი ჯანკარლო ფიზიკელა ავსტრალიის გრან პრის მოგების შემდეგ ამაღლებულ განწყობაზეა. გთავაზობთ ფიზიკელას მიერ ინტერნეტის საიტ „გაზეტა-რუს"-სათვის მიცემულ ინტერვიუს.**

— 6 მარტი ჩემთვის შესანიშნავი დღე იყო. ბოლოს და ბოლოს, ავსტრალიის გრან პრის გათამაშებაზე მე ჩემი შესაძლებლობები წარმოვაჩინე, — ამბობს ფიზიკელა.

◆ ***ბევრი ენერგია დახარჯეთ წარმატებისათვის?***

— ფანტასტიკური რბოლა იყო. ვფიხიზლობდი, განსაკუთრებით მაშინ, როცა რუბენს ბარიკელო დამეწია. „რენოს" შესანიშნავი ბოლიდიც დამეხმარა გამარჯვებაში. წლევანდელი მანქანა წინამორბედზე უფრო სწრაფია და კარგად დაბალანსებული, ეს იყო სეზონის საუკეთესო სტარტი ჩემს კარიერაში. ბედნიერი ვარ და ამავე დროს მადლობელი „რენოს" მექანიკოსების მიმართ.

◆ ***აქვს თუ არა „რენოს" გამარჯვების შანსი წლევანდელ ჩემპიონატში?***

— ახლა საკუთარ ძალებში ღრმად ვარ დარწმუნებული. მართალია, ჯერ მხოლოდ პირველი ეტაპი გავიარეთ, მაგრამ ვიგრძენით, რომ დიდი პოტენციალი გვაქვს. ამის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ იანვარში იყო, როცა პირველად მივუჯექი „რენოს" ახალ ბოლიდს. ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ამ მანქანაზე და მომდევნო ეტაპების მოგებას შევეცდებით.

◆ ***ეთანხმებით თუ არა აზრს, — რომ არ გაგევლოთ წარმატებით საკვალიფიკაციო რაუნდი, ავსტრალიის გრან პრის ვერ მოიგებდით?***

— საკვალიფიკაციო ეტაპზე გაგვიმართლა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ძირითად რბოლაშიც ყველაზე სწრაფები ვიყავით.

◆ **თქვენ ადრეც მოიგეთ ერთი გრან პრი...**

— ეს რამდენიმე წლის წინ, ბრაზილიაში იყო. წლევანდელი სტარტი კი განსაკუთრებულია, — ასეთი ბოლიდი არასდროს გვყოლია. დარწმუნებული ვარ, რომ „მაკლარენსა" და „ფერარის" კონკურენციას გავუწევთ ჩემპიონობისათვის ბრძოლაში. ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობასაც ხომ სწორედ ჩემპიონატის მოგება დაუსახავთ მიზნად.

## ნავრატილოვამ კომპანია „დო ტელის" უჩივლა

ცნობილმა ჩოგბურთელმა მარტინა ნავრატილოვამ სასამართლოში უჩივლა კომპანია „დო ტელის" და სთხოვს მას 75 ათას დოლარის გადახდას. სპორტსმენი თვლის, რომ აღნიშნულმა კომპანიამ უკანონოდ გამოიყენა მისი სახელი საკრედიტო ბარათებისთვის. აქვე გაცნობებთ, რომ კომპანია „დო ტელი" ემსახურება სექსუალურ უმცირესობებს.

## ჩაკვეტაძე წინ მიიწევს



**რუსეთის წარმომადგენელი, ჩოგბურთელი ანა ჩაკვეტაძე წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას „პაციფიკოუ-ფენის" ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 2,1 მილიონი დოლარია.**

**მეორე წრეში ჩაკვეტაძემ 6:0, 7:5 დაამარცხა სლოვაკი მარტინა სუხუსი.**

## კრიკეტზე დაპატიჟეს...

**ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა მანმოჰან სინგხმა პაკისტანის პრეზიდენტი პერვეზ მუშარაფი დაპატიჟა კრიკეტის მატჩზე, პაკისტანის ნაკრების მონაწილეობით. ეს გუნდი ინდოეთში ტურნეს ატარებს. ჯერჯერობით უცნობია, ჩავა თუ არა მუშარაფი ინდოეთში.**

## „ვაშინგტონის" ყოფილი მწვრთნელი ბელარუსებს უხელმძღვანელებს

ნჰლ-ის კლუბ „ვაშინგტონის" მთავარი მწვრთნელი გლენ ჰანლონი ამიერიდან ბელარუსის ჰოკეისტთა ნაკრებს უხელმძღვანელებს მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონატზე, რომელსაც ავსტრია მასპინძლობს. შეგახსენებთ, რომ ჰენლონი იყო კანადის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე.

## ტაისონს ტაილანდური კრივის შესწავლას ურჩევენ

**ტაილანდური კრივის ფედერაციამ პროფესიულ კრივში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს მაიკ ტაისონს ურჩია ამ სახეობითაც დაინტერესდეს. ფედერაციის ხელმძღვანელობა მომავალ კვირაში აპირებს ლას-ვეგასში შეხვდეს „რკინის მაიკს" და გადასცეს ტაილანდში ოფიციალური მოსაწვევი.**

**„ჩვენ გვინდა, რომ ტაისონი ტაილანდური კრივით დავაინტერესოთ. მას გავაცნობთ ამ სახეობის საიდუმლოებებს, რომლებიც შემდგომში პროფესიულ რინგზე დაეხმარება. ეს ილეთები მას ძველ დიდებას მოუტანს", — ამბობს ფედერაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი.**




## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**11 მარტი, პარასკევი**

**საქართველოს ტელევიზია. მზე.** ლაშა დვალიშვილის პროექტი, „ავტოგრაფი" — თემურ ქეცბაია (22.45). *НТВ плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 16.00, 18.40, 23.00). ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალები: საფრანგეთის „მონაკო" — ჰოლანდიის პსვ (12.20), მიმოხილვა (16.45), რუსეთის თასი. მერვედფინალი. „ზენიტი" — „ყუბანი". 1-ლი მატჩი (14.15). „ფუტბოლ მუნდიალი" (18.15). მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. მოსკოვის „სპარტაკი" — „არბატი" (18.55). „განვლილი კვირის ჰიტ-პარადი" (21.15). იტალიის, (23.15), გერმანიის (0.10) ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა. კალათბურთი. ნბა (3.00, 3.30, 6.00, 6.30). *НТВ плюс спорт.* ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში (11.30). კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (12.00). „ატრ"-ის საჩოგბურთო მიმოხილვა (16.45). ტაილანდური კრივი (17.15). კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი. „დალას მავერიკა" — „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" (18.15). „სპორტული გლობუსი" (22.45). წყალში ხტომა. საერთაშორისო შეჯიბრება, გრან პრი — „გაზაფხულის მერცხლები". ქალები — კოშკი, ვაჟები — ტრამპლინი. ფინალები (23.45). EUROSPORT. ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. დიდი ბრიტანეთი (11.15, 12.15, 13.15, 14.15). უეფას თასი. ჩეხეთი (15.15). ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი (16.15). ველორბოლა. პარიზი — ნიცა (17.45). ფეხბურთი: 24 საუკეთესო კლუბი (20.45, 1.30). უეფა. ჩემპიონთა ლიგა. უიკ-ენდი (21.15). ევროსპორტის ახალი ამბები (2.00, 3.15).

**12 მარტი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.20). **იმედი.** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. „ლაციო" — „ინტერი" (I ტაიმი — 22.30, II ტაიმი — 23.30). *НТВ плюс футбол.* თავისუფალი დარტყმა (12.00, 16.00, 21.10). მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. მოსკოვის „სპარტაკი" — „არბატი" (12.15, 13.55). „ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი" (16.55). გერმანიის ჩემპიონატი. „ბაიერი" — „ჰერტა". პირდაპირი ტრანსლაცია (17.25), საფრანგეთის ჩემპიონატი. „ლილი" — „ტულუზა". პირდაპირი ტრანსლაცია (19.20). „ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი" (21.30), ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (23.55). კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა და ჩემპიონატები (3.00, 3.30, 4.00, 6.00, 8.30). *НТВ плюс спорт.* ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი და მსოფლიო ჩემპიონატები (10.55, 12.40, 13.00, 22.30, 0.30) — სამთო თხილამურები: ფინალი. ქალები. სლალომი. 1.20 — გიგანტური სლალომი. ვაჟები. EUROSPORT. ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (10.30), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი და მსოფლიო ჩემპიონატები (11.00, 13.30, 14.30, 16.15, 21.00). ფეხბურთი. 24 საუკეთესო კლუბი (13.00). ველორბოლა. პარიზი — ნიცა (18.00). ევროსპორტის ახალი ამბები (1.30). საბრძოლო ხელოვნების ოსტატები — სუპერლიგა. დიდი ბრიტანეთი (1.45). *НТВ плюс online.* ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი და მსოფლიო ჩემპიონატები (10.55, 11.55, 13.25, 14.25). წყალში ხტომა. საერთაშორისო შეჯიბრება, გრან პრი — „გაზაფხულის მერცხლები". ქალები. ვაჟები (18.25).

**13 მარტი, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. იმედი.** პროგრამა „ასი" (16.30), ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. „კიევო" — „იუვენტუსი". პირდაპირი რეპორტაჟი (I ტაიმი — 22.30, II ტაიმი — 23.30). **რუსეთის 1-ლი არხი.** კრივი. ბრძოლა მსოფლიოს უძლიერეს პროფესიონალთა შორის. გრეგორი დროზდი — სოლ მონტანა (23.20). *НТВ плюс футбол.* გერმანიის ჩემპიონატი: „ბაიერი" — „ჰერტა" (10.15), „შალკე" — „ბავარია". პირდაპირი ტრანსლაცია (19.25), მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. მოსკოვის „სპარტაკი" — „არბატი" (12.20). საფრანგეთის ჩემპიონატი. „ლილი" — „ტულუზა" (13.35). ესპანეთის ჩემპიონატი (15.15). იტალიის ჩემპიონატი, პირდაპირი ტრანსლაცია (16.55). თავისუფალი დარტყმა (19.00), გერმანიის ჩემპიონატი. „შალკე" — „ბავარია". პირდაპირი ტრანსლაცია (19.25). „ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი" (21.25), იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (22.25). ესპანეთის ჩემპიონატი (0.35). კალათბურთი. ნბა (3.00, 3.30, 4.30, 5.00, 7.30). *НТВ плюс спорт.* წყალში ხტომა. საერთაშორისო შეჯიბრება, გრან პრი — „გაზაფხულის მერცხლები". ქალები, ვაჟები (10.25). ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი და ჩემპიონატები (11.55, 13.30, 14.25, 21.30, 22.20). სპორტული ცეკვები. გრან პრი პროფესიონალთა შორის (15.05). „სპორტული გლობუსი" (16.15), საჭადრაკო მიმოხილვა (19.30). ფიგურული ციგურაობა. კენი ლოგინსის შოუ (20.00). სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ფინალი. ქალები. გიგანტური სლალომი (22.20). წყალში ხტომა. საერთაშორისო შეჯიბრება გრან პრი „გაზაფხულის მერცხლები". ვაჟები, ქალები. ფინალები (23.10): ტაილანდური კრივი (0.55). EUROSPORT. ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (10.30). ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.00, 12.00, 13.00, 13.30, 14.30, 15.00, 15.30, 15.45). საბრძოლო ხელოვნების ოსტატები (20.00). ევროსპორტის ახალი ამბები (1.00). ფეხბურთი. ეროვნული ჩემპიონატი. საბერძნეთი (1.15). კრივი. პროფესიონალები (3.30). *НТВ плюс online.* ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასის ფინალები (10.55, 11.55, 13.25, 14.25). წყალში ხტომა. საერთაშორისო შეჯიბრება, გრან პრი — „გაზაფხულის მერცხლები". ვაჟები, ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია (16.55). ფეხბურთი: ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (20.55). საფრანგეთის ჩემპიონატი. „ოსერი" — „მონაკო". პირდაპირი ტრანსლაცია (22.55).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ცნობილი საბჭოთა ფიგურული მოციგურავე ქალი, 4. ახლო წარსულში ქართული სპორტული ჟურნალი, 8. სპორტნაწარმის ფირმა, 9. ფეხბურთში გვერდითი მსაჯის ატრიბუტი, 12. ცხენოსნური თამაშობა სამეგრელოში, 15. თბილისის „დინამოს" უცხოელი ფეხბურთელი, 16. პროფესიონალი (ყოფილი რუსეთელი) მოკრივე, 18. გამარჯვების ქალღმერთი, 19. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 23. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, 26. საჭადრაკო საკოეფიციენტო სისტემის შემქმნელი, 27. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 28. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი.



**შვეულად:** 2. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 3. საკალათბურთო ასოციაცია (შემოკლებით), 5. მთამსვლელ გიგანის სახელი, 6. საჭადრაკო ფიგურა, 7. „ნანტის" ფეხბურთელი, 10 ტაილანდელი ჩოგბურთელი, 11. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 12. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 13. ცურვის ყაიდა, 14. ველოსტადიონი, 17. სფფ-ს გენერალური მდივანი, 20. ჭიდაობის ილეთი, 21. საფრანგეთის სარაგბო კლუბი, 22. აზიის ქვეყანა, რომელმაც უმასპინძლა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს, 24. ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, 25. დაბალი ციფრი კამათელზე, 26. აშშ-ს ვაჟი ჩოგბურთელი.

**მოამზადა ნოდარ ჯაშვაძემ.**

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 5. სოჩელი, 8. აბულერიძე, 11. ღოლო, 13. ხარიხა, 14. ოსლო, 15. ევა, 16. ხაბელოვი, 18. ბე, 20. ასო, 22. ხმალი, 23. აჭილეისი, 27. ანკეტილი, 28. უბილავა.

**შვეულად:** 1. ბა, 2. „ავსტრია", 3. რეი, 4. პია, 5. სერჟიო, 6. რუდაკოვი, 7. ლოუ, 9. ახმეტა, 10. ტალები, 12. იპოდრომი, 17. „ქისლა", 19. ბიმონი, 21. ულიე, 24. „ქრიუ", 25. ვერა, 26. ეოი.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)




შამათი 2 სვლაში

№17-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.მf3!

1. ..... მფb3 2. მd2X, 1. ..... მფd3 2. მe5X, 1. ..... მფd5 2. ე:d4X,

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport@hotmail.com